პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 ოთხშაბათი 30 მარტი № 74 (16811) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხორცის წარმოების გადიდება ყველას ღვიძლი საქმეა

ხორცის წარმოებისათვის ზრუნვა ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვაა.

ხორცის წარმოების გადიდებაში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია ყველა ოჯახს, სახელმწიფოსათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მოზარდეულის მეყოლვით, ღორების გასუქებით, კურდღლისა და ფრინველის მოშენებით.

ნაკლები დანახარჯებით

ორჯონიკიძის სადგომ საბჭოში შემავალი სოფლების მცხოვრებლებს საკარმიდამო მეცხოველეობის განვითარების კარგი ტრადიცია აქვთ. ახლო მდებარე მთის ტყეებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა და ღორის მცირე დანახარჯებით გაზრდისათვის კარგი შესაძლებლობებია. ერთი სიტყვით, საკარმიდამო მეცხოველეობას საუკეთესო პერსპექტივები აქვს.

მოსახლეობიდან სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება უკვე შეგასრულეთ. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დაბაში მცხოვრებმა ლუკა კურტანიძემ, ვასილ სახვაძემ, თეიურუყაროელებმა სიმონ და თენგიზ ეფეხაძეებმა. მათ 200-300 კილოგრამი ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს და კიდევ ერთ ამდენს ვარაუდობენ წლის ბოლომდე.

საკარმიდამო მეცხოველეობა ფართო ხაზითაა მიღებს, თუ დახმარებას გავუწევთ მოსახლეობას კომბინირებული საკვების მიყიდვით. ეს საქმე დაფიქრებას მოითხოვს და დროულად უნდა გადაწყდეს.

გ. მეიფარიანი,
ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების სადგომ საბჭოს თავმჯდომარე.

თავი გამოიჩინეს

პირად მეურნეობაში ხორცის დამზადების საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში აქტიურად ჩაებნენ ყვარლის რაიონის მშრომელები. ბეგრმა ვალდებულების შესრულება უკვე დაიწყო.

კატაბლელმა სარიდონ გულაძემ ცხოველმზადების პუნქტს ჩააბარა 1.065 კილოგრამი საქონლის ხორცი.

მთისძირში მცხოვრებმა მიხეილ ხეჩიაშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა 457 კილოგრამი საქონლისა და 361 კილოგრამი ღორის ხორცი.

მთისძირის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის მუშამ შალვა პაპაშვილმა 1.155 კილოგრამი საქონლის ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს. სოფელ ფანასკერტის მიხილ საბიაშვილმა — 329 კილოგრამი, ხოლო შილდის კოლმეურნეობის კოლმეურნემ გივი ასაბაშვილმა — 275 კილოგრამი ღორის ხორცი ჩააბარა სახელმწიფოს.

ი. ლელაძე,
ყვარლის რაიონი.

პირობა გაანალდეს

მაიაკოვსკის რაიონის მეცხოველეთა პირობა იყო სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 29 მარტისათვის შესრულებინათ. მაიაკოვსკელებმა პირობა ვადამდე გაანალდეს. 28 მარტისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 3.750 ცენტნერის ნაცვლად 3.764 ცენტნერი, რძე, 970 ცენტნერის ნაცვლად — 972 ცენტნერი ხორცი.

სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვა გრძელდება — ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს კომპარტიის მაიაკოვსკის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩარქსელიანმა.

საკვები — პირადი მეურნეობებისათვის

ხელვაჩაურის რაიონის ურეხის კოლმეურნეობაში ძირითადად სუბტროპიკული კულტურებია გაშენებული. მაგრამ მეცხოველეობაც აქ სათანადო დონეზეა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილმა ხორცის წარმოების გადიდების შესახებ ალაფრთოვანა მშრომელები და ათობით კოლმეურნემ სურვილი გამოთქვა გამოხაზოდის, გაასუქოს და სახელმწიფოს მიჰყიდოს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

თავის მხრივ კოლმეურნეობა და სასოფლო საბჭო ასეთ მშრომელებს ყოველმხრივ დაეხმარებიან. ჩვენ წლიურ კოლმეურნეებს მივცემთ 1.000 ტონა უხეშ საკვებს, 80 ტონა კომბინირებულ საკვებს, გარდა ამისა ნაკვეთს გამოვუყოფთ შვრილის დასათესად.

ალ. ბარამიძე.
ურეხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე,
გ. ვერძაძე.
ურეხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

ბელადგოგი — ალმზრდელი

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობაზე თავის ისტორიულ სიტყვაში, ახალგაზრდობას როგ შეეხებოდა, ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „...ეს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღეა, ეს ის თაობაა, რომელიც ახლო მომავალში ჩაუდგება სათავეში საზოგადოების ხელმძღვანელობას. ჩვენ მშვიდად ვართ: საიმედო, ღირსეული ცვლა გვეზრდება“. აი როგორი საიმედო ღირსეული ცვლის აღზრდაში უნდა დაეხმაროს პარტიას სკოლაც.

ჩვენ უშუალოდ უნდა მოვკიდოთ ხელი ახალგაზრდობის პრობლემებს, ჩვენ, კომუნისტებმა, არ უნდა მოვაკლოთ ახალგაზრდობას ლენინური ზრუნვა.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის საპატიო ტრიბუნიდან წარმოთქმული ეს საპროგრამო სიტყვები მუდამ უნდა გვახსოვდეს. ახალგაზრდობის მომავლის საფუძველი — სკოლაა, ოჯახია, საზოგადოებაა. ამ საძირკვლის სიმკვიდრისათვის უნდა ვზრუნავდეთ. ჩვენ ყველანი — კომუნისტები, კომკავშირელები, პედაგოგები, მშობლები.

ახლა საქართველოში განათლების ფრონტზე არ გვეგულება ისეთი უბანი კი არა, კუნძულიც კი, მასწავლებელთა მოახლოებული IV ყრილობის სამზადისით რომ არ სუნთქავდეს. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მთავრობის შეუნელებელი ზრუნვით გაფორმისული სკოლა თავის აღმზრდელთა თავყრილობას ოქტომბრის საიუბილეო წლის, ხარისხისა და ეფექტიანობის მეათე ხუთწლედის მეორე წლის უმაგალითო სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში ეგებება. ხარისხი და ეფექტიანობა კი უმთავრესი ფაქტორია სკოლის მუშაობაში. სწავლა-აღზრდის პროცესის დონეზეა დამოკიდებული დონე სკოლის „პროდუქციისა“—ისინ დონე, თუ ცხოვრებისათვის როგორ იქნებიან მომზადებული სკოლადამთავრებული ბავშვები და ქალიშვილები. კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების როგორი წევრები იქნებიან. სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, პარტიული აქტივის კრებების დიდი სკამბასის ერთ-ერთი უმთავრესი საგანი სახალხო განათლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის, პედაგოგიური პრობლემები იყო.

მარტო ზოგადსაგანმანათლებელო 3.873 სკოლაში 930.408 მოსწავლე ეუფლება მეცნიერებათა საფუძვლებს; ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას ემსახურებიან: 16 დაუსწრებელი სკოლა 15.265 მოსწავლისათვის, 290 საღამოს — დამოუკიდებელი, დღის სკოლებთან არსებული, დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლები, რომლებშიც 40.476 ახალგაზრდა იღებს განათლებას. ამას თუ მივუმატებთ 1.619 მუდმივმოქმედ საბავშვო ბაღსა და ბაგა-ბაღს, სადაც 133.000 ბავშვი იზრდება, ორასზე მეტ სეზონურ ბაღს, საკოლმეურნეო საბავშვოებთან დაკავშირებით ყოველწლიურად რომ იქმნება, 67 სკოლა-ინტერნატს 20.755 აღსაზრდელით და 24 საბავშვო სახლს 2.703 აღსაზრდელით, მარტო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მასწავლებელთა თითქმის 80-ათასიან არმიას, — ნათელი გახდება ჩვენი სახალხო განათლების დიდი მომცველობა.

მასწავლებელთა IV ყრილობისათვის მზადება და თვით ყრილობა ნათელყოფს იმ დიდ კეთილნაყოფიერ გავლენას, რასაც ჩვენი ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მთავრობის მშობლიური მატერიალური და იდეოლოგიური ზრუნვით გრძნობს. ამასთან მთელი ეს პერიოდი უნდა გამოსატანდეს იმ უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნებას, რაც სკოლას პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად აკისრია ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის სახელმწიფოებრივ საქმეში. ადგილმდებარე პარტიული ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით უკვე გაიმართა მასწავლებელთა თავყრილობები — აფხაზეთსა და აჭარაში, სამხრეთ ოსეთის საოლქო და ბაგრეთვე საქალაქო და რაიონული მასწავლებელთა კონფერენციები, აქ გულახდილი, დიდი, პრობლემური სჯა-ბაასი იყო მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლებასა და აღზრდაში მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გაზრდის ამოცანებზე სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა საფუძველზე. საგუბარი ბუნებრივია და ცხოვრებით ნაკარნახევია რესპუბლიკის მასწავლებელთა მომავალი IV ყრილობის განსახილველი საკითხი — ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიხედვით.

სკოლის უპირველესი ამოცანაა ასწავლოს მოსწავლეს იხე, რომ ასწავლი ცხოვრებაში გამოადგეს; ასწავლოს შრომა იხე, რომ იგი შეაყვაროს და მთელი სიცოცხლის თანმგზავრად გაუხადოს შრომის მოთხოვნილება; ასწავლოს პატიოსნება იე, რომ იგი დანამატი არ იყოს მისი პიროვნებისა, არამედ განუყოფელი ნაწილი; აღზრდოს მოსწავლე სიკეთით„ რომ იგი მთელ სიცოცხლეში გამყვეს; ჩაუნერგოს იმის შეგნება, რომ სამშობლოს სიყვარული ხალხით უნდა განსახატოს — სწავლაში, შრომაში, ბრძოლაში თავდადებით, ყველა ამ და მრავალი სხვა კეთილი თვისებით მოსწავლეთა აღზრდა გაუძნელდება იმ სკოლას, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გარდაუკვეთია შუბაობა ცხოვრების მოთხოვნათა მიხედვით. სამწუხაროდ, ბევრგან კიდევაც ჩამორჩენა გვაქვს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების საქმეში.

მეორეწლაანობა, უდისციპლინობა ტრადიციად ქცეულა ზოგიერთ სკოლაში. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა მასწავლებლის სისუსტეა. ასეთ სკოლას ოჯახი, მშობელთა კომიტეტი მხარში არ ამოსდგომია, მის „შეფს“ სიტყვა ქაღალდზე დაუტოვებია და, ბოლოს, თავისი პარტიული, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციები, მასწავლებელთა კოლექტივი ვერ დაურაზმავს ერთიანი ამოცანის გადასაწყვეტად — სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დასაყენებლად.

აფხაზეთის ასსრ გალის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონების ბევრ სოფლის სკოლაში ფეხი მოიკიდა მეორეწლიანობამ. ამ რაიონთაგან თვითეულს ათასზე მეტი მეორეწლიანი ჰყავს. ეს უკვე ნირცხვილია ჩვენს დროში! ავტონომიური რესპუბლიკის მასწავლებელთა ატესტაციის დროს გამოირკვა(!), რომ 697 მასწავლებელი შეუფერებელი ყოფილა პროფესიისათვის-აჭარის ასსრ მასწავლებელთა ყრილობაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ სკოლაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი უდისციპლინობა, არის რელიგიური რიტუალის შესრულების შემთხვევები. ეს ნათლად ადასტურებს პედაგოგთა სუსტ მუშაობასაც. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სკოლების მიერ გაწეულ დიდ მუშაობაზე, რისთვისაც გარდამავალი წითელი დროშა ხვდა, ლაპარაკი იყო გუშინ მასწავლებელთა პირველ კონფერენციაზე. მაგრამ იქვე ისიც აღინიშნა, რომ ცალკეულ სკოლებში კვლავ ადგილი აქვს მოსწავლეთა გასვლას, არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენას, მეორეწლიანობას, აგრეთვე არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევის შემთხვევებს.

მთელი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადვის. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები უდიდესი პასუხისმგებლობით შეუდგნენ მოსწავლეებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გაცნობას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“.

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის მარტის კრებაზე, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრას რომ მიეძღვნა, ასე იყო ჩამოყალიბებული ჩვენი ამოცანები ახალგაზრდობის აღზრდაში: „...უნდა ვასწავლოთ ახალთაობას კომუნიზმის ერთგულება, მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება, ჩავუნერგოთ ოპტიმიზმი, განვუმტკიცოთ ხვალინდელი დღის რწმენა, აღვზარდოთ ისინი მომავალში, კომუნისტურ მერმისში მსწრაფნი“. ამ დიდ საქმეში განუზომელია ჩვენი სკოლის როლი.

მუდამ პარტიასთან, ხალხთან, პარტიისა და ხალხის საქმიანობისათვის! — ასეთია მომავალი თაობის აღმზრდელ პედაგოგთა დევიზი.

ამ დევიზით ემზადება რესპუბლიკა პედაგოგთა ყრილობისათვის, ამ დევიზით იმუშავებს თვით ყრილობა.

ხუთწლედის ადამიანები

თვალსაჩინო მაჩვენებლებით დაიწყო მეათე ხუთწლედის მეორე საიუბილეო წელი თბილისის წინდების საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა. „კრწანისელებმა“, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო შრომითს ვახტზე დგანან, ფარფოდ დაუჭირეს მხარი ქუთაისისა და დედაქალაქის პირველი მაისის რაიონის მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას ყოველდღიური, ყოველთვიური და ყოველკვარტალური გეგმების სისტემატურად გადაჭარბებით შესრულების თაობაზე და დღითიდღე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. თებერვალში მათ გეგმის ზევით აწარმოეს 273 ათასი წინდა. საწარმოს ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით საქსოვი საამქროს მოწინავე მჭსოველებს ე. დორეულს, მ. მაჭარაშვილს და ა. საიპინას, რომლებიც დღიურ ნორმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებენ.

სურათზე: ფაბრიკა „კრწანისის“ მოწინავე მჭსოველები (მარცხნიდან): ე. დორეული, მ. მაჭარაშვილი და ა. საიპინა.

ს. კილაძის ფოტო.

ხუთწლედი — ვადამდე!

29 მარტი

საყოველთაო მოწონება

სიყვარული, ერთგულება

პროფკავშირების XVI ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლამ აღფრთოვანა საბჭოთა ხალხი.

მეათე ხუთწლედის მეორე წელი, რომელიც ყველა ჩვენთაგანისაგან საქმისათვის უფრო მეტ პასუხისმგებლობასა და შეჯარებას მოითხოვს, ჩვენი ქვეყნისათვის ღირსსახსოვარი, საიუბილეო წელია. 60 წელია, ფრიალებს ოქტომბრის დროშა, ოქტომბრისა, რომელმაც თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრება დაგვიმკვიდრა.

ბევრი განსაცდელი გამოიარა საბჭთა ხალხმა. მან გადალახა ომების ქარცეცხლი, დანაკარგების სიმწარეც იცის და გამარჯვების სიხარულიც. საბჭოთა ადამიანებს დამსახურებაა, მისი გმირული ბრძოლის შედეგია, რომ კვლავ ნათელი ცხოვრება გვაქვს.

ჩვენ, ყველა საბჭოთა ადამიანი, ვაფასებთ ჩვენი პარტიის მშვიდობიანმყოფელ პოლიტიკას, ეუფრთხილდებით დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს, ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.

სწორედ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კომუნისტური პარტიის სიყვარული და ერთგულება შთაგაგონებს ყველას, მუშას, კოლმეურნესა თუ მეცნიერს სასახელო საქმეებს, გმირულ შემოქმედებითს შრომას.

ის, ვინც ხმას იმაღლებს ამ მებრძოლი, მშრომელი, გმირი ხალხის. მისი წინამძღოლი პარტიის, მისი დიდი მონაპოვრის წინააღმდეგ, ჩვენი მტერი, სახელმწიფოს მოღალატეა, და, მას ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ადგილი არა აქვს. ჩვენი საზოგადოება არავის აპატიებს 260 მილიონი საბჭოთა ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ გალაშქრებას. დიდმა ლენინმა, ოქტომბერმა მოგვიტანა ხალხთა თავისუფლება და უფლებები.

ალ. ფრანგიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი.

შიამაგონებელი სიტყვა

დიდი ყურადღებით, გულდასმით გაეცანით სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVI ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის შთამაგონებელ სიტყვას. ეს სიტყვა საბჭოთა ადამიანებზე, ჩვენი მშობლიური პარტიის შეუნელებელი ზრუნვის კიდევ ერთი დადასტურებაა. ჩვენ, სოფლის მშრომელები, საქმით გეპასუხებთ ამ დიდ ზრუნვას. ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ წლეულს საშოალოდ ჰექტარზე მივიღოთ 7.000 კილოგრამი ხარისხიანი ჩაის ფოთოლი, თვითეულ ჰექტარზე — 35 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 25 ცენტნერისა. ერთობლივად ვალდებულებანი ასევე ასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ალ. კურდღელია,
ცხაკაიის რაიონის გეჯეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

16 აპრილს კომუნისტური შაგათობაა

ავტოშემკეთებლები კისრულობენ

გუდაუთა. (საკ. კორ.). ავტოხარმონგო ქარხნის მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ.

საყოველთაო-სახალხო ლენინურ შაბათობაში 16 აპრილს მონაწილეობას მიიღებს ქარხნის კოლექტივის 150-ზე მეტი წევრი. ისინი ამ დღეს შეასრულებენ 600 მანეთის ღირებულების სხვადასხვა სამუშაოს. მათ შორის შეაკეთებენ 18 ძრავას, 120 საბურავს. დაზოგავენ 70 მანეთის ელექტროენერგიას, საწვავ და საცხებ მასალებს.

დამკვრელურად

ამბროლაური. გულდასმით ვემზადებით შაბათობის შესახვედრად. უკვე შევიმუშავეთ შაბათობის მოწყობის კონკრეტული გეგმა. — სამმართველოს ცალკეულ უბნებზე შექმნილია შაბათობის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე ჩატარების შტაბები.

საწარმოს 450 მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი ამ დღეს ჩვეულებრივად იმუშავებს. გზისა და წყალმომცავი არხების შეკეთებაზე. გათავისუფლებული გვაქვს 3.500 მანეთის ღირებულების სამუშაოს შესრულება. ხელფასის ფონდიდან 900 მანეთს ხუთწლედის ფონდში გადავრიცხავთ. სპეციალური ბრიგადები შეაგროვებენ 15 ტონა ჯართს, დარგავენ 300 ძირ ხეს და ბუჩქს.

შ. ქევანაშვილი,
ამბროლაურის № 10 საგზაო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

ეს დღეები სოფლად

თესავენ შაქრის ჭარხალს

მეათე ხუთწლედის მეორე წელს გორის რაიონის მშრომელები სახელმწიფოს 39.200 ტონის ნაცვლად 40.000 ტონა შაქრის ჭარხალს მიჰყიდიან.

სელეთუბნის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. დემეტრაშვილი) შაქრის ჭარხლის ერთ-ერთი მწარმოებელია რაიონში.

ამ დღეებში აქაურმა მშრომელებმა პირველებმა რაიონში ვაშლილი ფრონტით დაიწყეს შაქრის ჭარხლის თესვა.

კოლმეურნეობაში „ტკბილი პლანტაციები“ წლეულს 100 ჰექტარ ფართობს დაიჭერს. ხელეთუბნელ მეჭარხლეებს გადაწყვეტილი აქვთ დაავლებით გათვალისწინებული 4.000 ტონის ნაცვლად სამშობლოს მისცენ 4.500 ტონა შაქრის ჭარხალი.

გ. ვაშაკიძე,

ზნაურის მინდვრებში

ზნაურის რაიონის ავნევისა და მუგუთის კოლმეურნეობების მშრომელებს შაქრის ჭარხლის უხვი მოსავლის მოყვანის დიდი გამოცდილება აქვთ.

საიუბილეო წელს რაიონის მეჭარხლეები სახელმწიფოს 3.700 ტონა შაქრის ჭარხალს, ანუ დაავგმილზე 600 ტონით მეტს მიჰყიდიან.

შარშანდელთან შედარებით გადიდებული ვალდებულებები იკისრეს რაიონის მეურნეობათა ცალკეულმა ბრიგადებმა და მეჭარხლეებმა. მუგუთელმა მეჭარხლეებმა ჰ. ბესთაევმა და ყ. ქელეხსაევმა შარშან ჰექტარზე 1.600 ცენტნერი მოიყვანეს, ავნევიელებმა თ. ჯაბისოვმა და შ. თიბილოვმა 1.100-1.300 ცენტნერი. მიღწეული ზღვრად არ მიაჩნდათ.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„პრავდის“ ფურცლებზე

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან შრომითი კოლექტივები — ჩვენი საზოგადოების ძირითადი სოციალური უჯრედები.

პასუხისმგებლობის ჩაბარება ყოველდღიური პროცესია, — წერს გაზეთი მეთაური წერილში („პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე“).

სკკპ ორენბურგის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კოვალენკო მკითხველს ესაუბრება სპეციალისტის ცხებაზე.

რუბრიკით — „ოქტომბერი ჩვენს ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული წერილები — „ჩვენ საბჭოთა ხალხი ვართ“ — შეეხება ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ძმობას, მეგობრობას, რომელიც ოქტომბერმა შვა და სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ბრძოლებში, კომუნიზმის მშენებლობის საკეთილდღეო ერთობლივ შრომაში განმტკიცდა.

„მასწავლებელი, მოზარდი, ქინო“ — ასეა დასათაურებული ი. ლევშინას წერილი „პრობლემები და მოსაზრებები“.

ახლა სულ უფრო მეტ სკოლაში ენთუზიასტი აღმზრდელები პოულობენ. ახალ-ახალ ხერხებს, წერს ავტორი, რათა მიიპყრონ თავიანთი აღზრდილები სწორად დაინახონ ეკრანი. მათი გამოცდილება ეს-ეს არის გროდება.

გაზეთის მეოთხე და მეხუთე გვერდები ჩვეულებრივ დათმობილი აქვს საერთაშორისო ინფორმაციას, ხოლო მეექვსე გვერდზე გაეცნობით ჩვენი ქვეყნის ამბებს.

PRAVDA

მეგობართა ხელოვნება

უკრაინის კინემატოგრაფია — საქართველოს ეკრანზე

ამ დღეებში საქართველო, კერძოდ, თბილისი და სოხუმი, უკრაინელ კინემატოგრაფისტებს მასპინძლობდა. გაიმართა უკრაინული ფილმების ფესტივალი. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის მდივანს ბ. ბარათაშვილს, რომელმაც თქვა:

— გუშინ საქართველოში დამთავრდა უკრაინული ფილმების ფესტივალი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისა და საბჭოთა კინოხელოვნების პროპაგანდის ბიუროს თბილისის განყოფილების მოწვევით ფესტივალში მონაწილეობისათვის ჩვენთან ჩამოვიდა უკრაინელ კინემატოგრაფისტთა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა უკრაინის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ტ. ლევჩუკი. გვეესტუმრნენ ცნობილი მსახიობები, კინორეჟისორები, კინოდრამატურგები, მათ შორის რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი ვ. კოტკინი, მსახიობები ა. ეროგორეევი, ს. კოხდრატოვა, ტ. მიტრუშინა, კინორეჟისორი ტ. პავლენკო, კინოდრამატურგი, შევჩენკოს პრემიის ლაურეატი მ. ტალანი, რეჟისორი ს. გასპაროვი, ოდესის კინოსტუდიის რედაქტორი ნ. რასნიკოვა, კიევის კინოსახლის დირექტორი ვ. ფიტურიკი, უკრაინის კინოპროპაგანდის ბიუროს დირექტორი რ. რომანენკო.

თბილისის კინოსახლში საზეიმო შეხვედრა მოეწყვეს სასურველ სტუმრებს. უკრაინული ფილმების ფესტივალი გახსნა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ე. შენგელაიამ, რომელიც მიესალმა უკრაინელ მეგობრებს. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, კინორეჟისორმა ს. დოლიძემ დაიხსნა ქართველი და უკრაინელი ხალხების ძმობის დიდი ტრადიციები, მისი ღრმა ფესვები, რომელიც დღეს კიდევ უფრო ცხოველმყოფელი გახდა. სტუმართაგან დამსწრეთ მიესალმნენ კინორეჟისორი ტ. ლევჩუკი და მსახიობი ვ. კოტკინი. ფესტივალის გახსნას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე.

შემდეგ ნაჩვენები იქნა ფილმი „სიძულვილი“.

უკრაინელ სტუმრებს ბულბილი შეხვედრები მოეწყვეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, ოფიცერთა სახლში, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანაში, კინოთეატრ „ამირანში“, სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის და ცხინვალის ღირსშესანიშნაობანი.

ჩვენმა მაყურებელმა ნახა უკრაინელ კინემატოგრაფისტთა მიერ ჩამოტანილი უკანასკნელი წლების საინტერესო ფილმები „ქარავანი, ქარავანი“, „ჯარისკაცები, ერთი, ორი“, „ქალაქი დილიდან შუადამემდე“, „მე მიწაზე მელოდებიან“, „ბულტიანიკური ფილმები — „ტყის სიმღერა“, „ეზო“, „როგორ გადაარჩინეს ქრმებმა ცოლები“, „მამა, დედა და ოქროს თევზი“, „ბუდიონნურა“.

თბილისის შემდეგ ფესტივალმა აფხაზეთში გადაინაცვლა. კინოთეატრ „აფსნიში“ უჩვენეს უკრაინელ მეგობრების ფილმები. მათ გულთბილი და სინტერესო შეხვედრები ჰქონდათ ეროვნული ხელოვნების მშრომელებთან.

სსრ კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება

29 მარტს კრემლში მოლაპარაკება განაგრძეს სსკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა.

გაიმართა აზრთა გაზიარება ფართოდ ორმხრივი, ისე საერთაშორისო ხასიათის საკითხებზე. მათ შორის პრინციპული თვალსაზრისით განიხილეს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების საკითხი და ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების პრობლემა.

განიხილეს აგრეთვე ატომური იარაღის მიწისქვეშა გამოცდის სრული აკრძალვის საკითხი, ატომური იარაღის გაუვრცელებლობის პრობლემა, მასობრივი მოსპობის ახალ სახეობათა იარაღის აკრძალვის საკითხი და შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების დარგის მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი. (საკდესი).

შემოქმედებითი შრომა — საამშობლოს

დღითიდღე ფართოვდება მოსკოველთა რიგები, რომლებიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ დაჩქარულ ვახტზე დადგნენ. ამ პატრიოტულ მოძრაობაში ნათლად ვლინდება საბჭოთა ადამიანების ისეთი შესანიშნავი თვისებები, როგორიც არის იდეური სიმტკიცე, კოლექტივიზმი, კომუნისტური დამოკიდებულება „შრომისადმი, სკკპ XXV ყრილობის განხორციელებაში საკუთარი როლის ღრმა გაგება, ეს ხაზგასმით აღინიშნა დედაქალაქის წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა კრებაზე, რომელიც 28 მარტს გაიმართა.

კრებაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი. მან წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისალმება კრების მონაწილეებისადმი, რომელსაც ყველანი ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

შეკრებილთა, ყველა მოსკოველთა სახელით ვ. ვ. გრიშინმა გულითადი მადლობა მოახსენა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ყურადღებისათვის, კეთილი სურვილებისათვის და ალუთქვა, რომ დედაქალაქის მშრომელები ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდებიან სახელოვან იუბილეს.

დედაქალაქის წარმოების მოწინავეებმა და ნოვატორებმა ყველა მოსკოველს მოუწოდეს კიდევ უფრო ფართოდ გაეაჩაღონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება.

კრების მონაწილეებმა დიდი ალმაცვლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სსკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი (საკდესი).

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1977 წლის 30 მარტი № 112 ქ. მოსკოვი

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან 1977 წლის მაისი-ივნისში სამსახურის ვადაგავლილ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დათხოვნილ იქნენ თადარიგში საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო და შინაგანი ჯარების რიგებიდან 1977 წლის მაის-ივნისში სამხედრო მოსამსახურენი, რომლებსაც ნამდვილი სამსახურის ვადა გაუდიოთ 1977 წლის 1 ივლისამდე.

2. თადარიგში სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან დაკავშირებით, ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭოთა არმიაში, საზღვაო-საზღვაო ფლოტში, სასაზღვრო და შინაგან ჯარებში ნამდვილი სამხედრო სამსახურის გასაგრძელ

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

თვითეული ჩვენგანი დღეს იმ დიდი შთაბეჭდილებით ცხოვრობს, რაც საბჭოთა პროფკავშირების XVI ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანმა სიტყვამ მოახდინა. ეს დოკუმენტი ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს ცხოვრებისა და მოქმედების ნათელ გზს აძლევს, კიდევ უფრო განუმტკიცებს თავისი ქვეყნის, თავისი სამშობლოს ნამდვილი პატრონ-პატრონის გრძნობას. დღეს, როგორც არასდროს, ჩვენ წინაშე დგება უპირველესი საბრძოლო ამოცანა — კიდევ უფრო აკამანდოლოთ ადამიანთა პასუხისმგებლობა, განვავითაროთ კადრების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა.

სწორედ ამის აუცილებლობაზე მეტად ხაზგასმით ითქვა ამ ერთი კვირის წინათ გამართულ საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზეც, რომელმაც რესპუბლიკის მშრომელთა სხვა დიდ წარმატებებთან ერთად აღნიშნა ამ უკანასკნელ ხანს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მაჩვენებლების მკვეთრი გაუმჯობესება. თუმცა, ეს მსჯველი სატრანსპორტო ორგანიზაცია თავისი არსებობის მხოლოდ ერთ ათეულ წელს ითვლის. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს განკარგულებაშია თანამედროვე ტექნიკითა და უახლესი სანავიგაციო მოწყობილობით აღჭურვილი 44 გემი, რომელთა ტვირთამწეობა ნახევარ მილიონ ტონაზე მეტია.

ქართველ მეზღვაურთა საძრკმედო ასპარეზია მსოფლიოს 60 ქვეყნის 120-ზე მეტი პორტი. სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად მათ ევალებათ განამტკიცონ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული, ინტერნაციონალური კავშირები, წარმოადგინონ საბჭოთა ქვეყნის მოქალაქის სიტყვა სიფხე.

და აი ჩვენმა 9-ათასიანმა კოლექტივმა, რომლის ყოველი მეექვსე წევრი კომუნისტია, პირნათლად გაანაღდა მეცხრე ხუთწლედისა და მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებები. 1976 წელს, წინა წელთან შედარებით, სატვირთო სამუშაოთა ინტენსიობა მშრალი ტვირთზე-ვის ფლოტში 44,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მოცულობები დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციებზე 54,2 პროცენტით შემცირდა. საამაყოა ისიც, რომ 1976 წლის მეორე და მესამე კვარტალების შედეგებით სანაოსნომ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, ხოლო სამი კვარტალის შედეგებით კასპიის სანაოსნოს აჯობა.

რა თქმა უნდა, წარმატებები თავისთან არ მოსულა. ისინი სანაოსნოს პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების, აქტიური და ინიციატიანი მუშაობის, საქმისადმი კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკების, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეების.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ბიგაძემ. ანგარიში — „ქალაქი ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან — პარტიული კომიტეტის მდივანი ბ. ბერიძე, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ე. ნინოიძე, თბილისის 72-ე საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ლ. ურეკაძე, თბილისის 110-ე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. მურადიანი, ბაქოს სახალხო განათლების მუშაკთა დელეგაციის ხელმძღვანელი ა. ახუნდოვი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი შ. ამონაშვილი, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ხანიძე, პირველი მაისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. სხვიტორიძე, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი, პედაგოგიკის მეცნიერების კანდიდატი ა. ხუციკაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ბურგენიძე და სხვები.

მომხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა „მაყოფილებით აღნიშნეს, რომ სახალხო განათლების ორგანოები, ქალაქის სკოლების, სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივები ეხორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საშუალო სკოლის წინაშე დასახულ ამოცანებს.

სულ უფრო მტკიცდება სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თუ 1971 წელს სახალხო განათლების საქართველოსათვის გამოყოფილი იყო 315.410 მანეთი, მეცხრე ხუთწლედის ბოლოს ეს ციფრი 1.300 ჰექტარი ფართობი უკავია ვაზს საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, აქედან 900 მოსავლიანია.

გაზაფხულის თბილი დღეების დადგომისთანავე პლანტაციებში გაიშალა მექანიზებული სამუშაოები. მწკრივთაშორისების კულტივაცია და მინერალური სასუქების შეტანა, ვაზის გასხვლა.

სურათზე: ბრიგადირი გ. რუსიშვილი და მევენახე ო. ქეკნიშვილი ვენახების გასხვლის ხარისხს ამოწმებენ.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეფუტკრეობა — სამრეწველოსაფუძველზე

საქართველოს მეფუტკრეობის საცდელ სადგურში დაიწყო ხელოვნური თაფლის — ფუტკრის საზრდოს მასობრივი წარმოება. მას შაქრისა და ფერმენტებისაგან აშზადებენ სპეციალურ რეაქტორდანადგარებში. უკვე დამზადებულია 10 ტონაზე მეტი პროდუქცია, სულ კი გამოშვებული იქნება 100 ტონა. ეს წელიწადში 80 ათას მანეთზე მეტს დაზოგავს.

მეფუტკრეობის საცდელი სადგური შარშან საქართველოში შექმნილი მეფუტკრეობის რესპუბლიკური გაერთიანების ძირითადი ბაზაა, რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის მეთოდიკურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას.

გაერთიანებას აქვს საყრდენი პუნქტები გუდაუთაში, ჩოხატაურში, ახალციხეში, დუშეთში, საგარეჯოში, ოქტომბერში, მასში შედიან აგრეთვე მეფუტკრეობის ინვენტარისა და ხელოვნური ფიჭის დასამზადებელი წარმოებები, სოხუმის, სამტრედიის, ყვარლის, ხარაგაულის, ჩხოროწყუს რაიონების, მუხურის სახელმწიფო ფუტკრის სანაშენეები, წითელწყაროს, ლაგოდეხის, წალენჯიხისა და სხვა რაიონების საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებათა საფუტკრეები.

— ჩვენი მიზანია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა ჯ. ობოლაძემ, — დაეჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მეფუტკრეობაში, შევქმნათ და პრაქტიკულად დავნერგოთ ახალი მაწყანები, ხელსაწყოები, ფუტკრის მოვლის, თაფლის უხვი სტაბილური მოსავლის მიღების მეთოდები.

შარშან კოლექტივმა წარმატებით შეასრულა თაფლის დამზადების სახელმწიფო დავალება — სახელმწიფო საფუტკრეებში რეალიზებულია 260 ცენტნერი თაფლი გეგმით გათვალისწინებული 250 ცენტნერის ნაცვლად, ხოლო ყველა საფუტკრეში — 560,5 ცენტნერი. ათასზე მეტი დედაფუტკარი გაიგზავნა რესპუბლიკის ფერმერებს ბერეთ — პოლონეთში, სუფრანგეთში, შვეიცარიაში, იაპონიაში.

მუხურის ფუტკრის სანაშენეში დაიწყო ნაყოფიერი მუშაობა ადგილობრივი პოპულაციის საუკეთესო ჯიშის ფუტკრის — მეგრული ფუტკრის გამრავლებისათვის. ნაპოვნია ფუტკარი, რომლის ხორთუმის სიგრძე ჩვეულებრივს აღემატება და 7,23-7,3 მილიმეტრს აღწევს. წლის დამლევამდე მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთს სანაშენედ გაეგზავნის 10 ათასზე მეტ დედაფუტკარს.

პასუხსაგები ამოცანები დგას მეათე ხუთწლედში გაერთიანების მუშაკთა წინაშე. კიდევ უფრო გაზითარდება დაქსაქსული პატარა მეურნეობების მსხვილ მეურნეობებად გაერთიანების პროცესი, ნავარაუდევია ფუტკრის ოჯახების ყოველწლიური მატება 10 პროცენტით გაიზარდოს. ახლა რესპუბლიკაში 170 ათასზე მეტი ფუტკრის ოჯახია. 1980 წლის დამლევისათვის ყოველ ფუტკრის ოჯახზე მოვიღებთ სულ ცოტა 10 კილოგრამ თაფლს — ჩვეულებრივზე 5,6 კილოგრამით მეტს.

დადგნენ რა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე, საქართველოს მეფუტკრეებმა იკისრეს ვალდებულება დაამზადონ 80 ტონა თაფლი.

საქართველო ფუტკრის თავისებური ნაკრძალია. განთქმულმა მთის რუხმა ფუტკარმა ოქროს კილდოები მოიპოვა მოსკოვის, ბულგარეთისა და ეროფურტის გამოფენებზე. ახლა ამოცანა ის არის, რომ წელინარჩუნოთ და გავამრავლოთ ფუტკარი, გავაუმჯობესოთ მისი ძვირფასი ბიოლოგიური თვისებები.

გზა წარმაჯებისა

ერთი კრებიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის შემდეგ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲛᲝᲜᲐᲠᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ

ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗᲐ

ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ

ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗᲐ

ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ

ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗᲐ

ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲐ

ᲡᲙᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ

29 მარტს თბილისში გაიმართა საქართველოს დედაქალაქის მასწავლებელთა პირველი საქალაქო კონფერენცია, რომელზეც განიხილეს თბილისის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების ამოცანები სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესაბამისად სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისა და შრომითი საქმიანობისათვის მომზადების საქმეში.

კონფერენციის პრეზიდიუმში არიან პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. მეფთიშაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სიხნიაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ბურგენიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, რესპუბლიკის მინისტრები, ქალაქ ბაქოს სახალხო განათლების მუშაკთა დელეგაციის წევრები, თბილისის სკოლების საუკეთესო პედაგოგები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მრეწველობის მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის 123-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა, ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა პედაგოგმა ე. სოკოლოვსკემ.

კონფერენციის საპატიო პრეზიდიუმში ტაშის გრიალით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე, პროფესორი უ. ობოლაძე. მან დაჯილდოებულო გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც ქალაქ ბაქოს ეკისრებოდა 3 ათასი კვირცხი ჩავაბარო, წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის გავანადო.

აქ ლაპარაკი იყო ჩამორჩენის მიზეზებზე: არ ჰქონდათ ე. წ. სადედე გუნდი, საჭირო რაოდენობით ეერ იღებდნენ საკუთარი წარმოების საინკუბაციო კვერცხს, რესპუბლიკის გარეედან შემოჰქონდათ და ძვირი უჯდებოდათ: სუსტი იყო შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, ირღვეოდა ფრინველის გამოკვებისა და გამოზრდის რეჟიმი, იტაცებდნენ საკვებს, იპარავდნენ ქათმებს...

საბოროტოო ბრიგადის უნარიანი ხელმძღვანელი, ვეტექიმი **გიორგი აბესაძე**, რომლის ბრიგადა მოწინავეა, ამბობს: სასიამოვნოა, რა თქმა უნდა, როცა გამარჯვებელი გამოდიხარ, მაგრამ მირჩენია გამარჯვებული საწარმოს ბრიგადებს შორის ბოლო ვიყო, ვიდრე ჩამორჩენილთა შორის პირველი.

სიტყვებს ამბობენ რიგითი მეფრინველეები, საამქროს უფროსები და ზეინკლები, ოპერატორები და სხვა მუშაკები: **მ. ბერიძე, ე. ადიკაშვილი, ვ. ზურაბიანი, ა. ფხაკაძე, მ. შენგელიძე, შ. კოზაევა, გ. ჭაბუკაიძე**, და სხვები.

ორატორები მდელვარედ, მგზნებარედ, საქმიანად ლაპარაკობდნენ, მოითხოვდნენ მდგომარეობის გამოსწორებას, სთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს, აყენებდნენ კონკრეტულ წინადადებებს.

— ხალხო, მგონი ჩემი შვილებისათვის არ მიტეხია. იმდენი ღამე, — ნახევრად ხუმრობით ამბობს მოწინავე მეფრინველე **თამარ იაკობაშვილი**, — რამდენსაც ქათმებისთვის ვტეხავ, არც ახლა დავზოგავ თავს, [illegible] ხელი შეგვიწყეთ, — მიმართავ[illegible] ხელმძღვანელებს.

გამოსვლებში იკრძნობა [illegible] მისათვის გულისტკივილ[illegible] ლებისათვის მზადყოფნა, გამარჯვების წყურვილი.

ერთსულოვნება და დიდი პასუხისმგებლობის შეგნება ამის საწინდარია, რომ მეფრინველეები, — ნახევრად ხუმრობით ამბობს მოწინავე მეფრინველე **თამარ იაკობაშვილი**, — რამდენსაც ქათმებისთვის ვტეხავ, არც ახლა დავზოგავ თავს, [illegible] ხელი შეგვიწყეთ, — მიმართავ[illegible] ხელმძღვანელებს.

[illegible] 4.620 [illegible] ლერობას მიაღწიოდნ 3000 ათასზე ფრთა ერთდღიანი წიწილა გეგმით გათვალისწინებული 109 ათასის ნაცვლად;

3 პროცენტით შეამცირონ ყოველი ცენტნერი ფრინველის წონამატების თვითღირებულება;

3 პროცენტით შეამცირონ კვერცხის თვითღირებულება;

გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, სავაჭრო ქსელს მიაწოდონ 5 პროცენტით მეტი პირველი ხარისხის ხორცი, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული;

მიიღონ 100 ათასი მანეთი ზეგეგმით მოგება.

უშუალოდ მეფრინველეებთან დასაქმებულ მუშაკთა მიერ გეგმის გადაჭარბებით შესრულების წასახალისებლად დანერგავენ მატერიალური სტიმულირების ახალ ე. წ. ნატურით ანაზღაურების მეთოდს;

მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ააშენებენ 700 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, გახსნიან საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს, ფაბრიკის დასახლებაში უზრუნველყოფენ სასმელი წყლითა და გათბობით. გახსნიან 50 ადგილიან სბავშვო ბაღს.

გამარჯვების მეფრინველეებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაყრთიანების კოლეგა მეფრინველეობის ფაბრიკისა და მცხეთის სანაშენო რეპროდუქტორის კოლექტივები.

ს. ხარაზიშვილი,

საკ. კორ.

გარდაბანი.

ᲛᲐᲜᲐᲕᲘᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲨᲘ

თითქმის 1.300 ჰექტარი ფართობი უკავია ვაზს საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, აქედან 900 მოსავლიანია.

გაზაფხულის თბილი დღეების დადგომისთანავე პლანტაციებში გაიშალა მექანიზებული სამუშაოები. მწკრივთაშორისების კულტივაცია და მინერალური სასუქების შეტანა, ვაზის გასხვლა.

სურათზე: ბრიგადირი გ. რუსიშვილი და მევენახე ო. ქეკნიშვილი ვენახების გასხვლის ხარისხს ამოწმებენ.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘᲐ ᲐᲦᲒᲖᲠᲓᲐ

ᲝᲗᲮᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ-ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის მეტად მნიშვნელოვან საკითხს განიხილავდა მოსკოვის, ბაქოს, ერევნისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების პარტიული კომიტეტების მდივნებისა და წარმომადგენლთა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრათათბირი თემაზე: „სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უნივერსიტეტების პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.“

თათბირში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან — პარტიული კომიტეტის მდივანი გეოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ბურლინი, პროორექტორი, ჰუმანიტარული ფაკულტეტების პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, პროფესორი ფ. ვოლკოვი, ისტორიკური ფაკულტეტების პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე იდეოლოგიურ მუშაობაში მ. სეიოროვა, ჰუმანიტარული ფაკულტეტების პოლიტეკონომიის კათედრის დოცენტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების პარტიული კომიტეტის მდივანი ვ. პავლენკოვი; აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან — პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ყ. ბაირამოვი, პარტიული კომიტეტის წევრი. იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ე. როსიპაშვილი, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან — პარტიული კომიტეტის მეორე მდივანი ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი გ. ღარიბიანი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე ო. მკრტიჩიანი, სამხედრო კათედრის უფროსის მოადგილე სასწავლო ნაწილში ვ. ჩილინგარიანი, ოტიკის კათედრის გამგე ი. ჩილინგარიანი.

შეხვედრა-თათბირის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე გ. მაქაცარია. შეხვედრაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა პროფესორმა რ. გორგუზიანმა.

ეს შეხვედრა მიმდინარეობდა ოთხი უნივერსიტეტის მეგობრობის, გამოცდილებისა და აზრთა ურთიერთგაზიარების ატმოსფეროში.

პარტიული კომიტეტები უნივერსიტეტებში სწავლა-აღზრდის, მეცნიერული და ორგანიზაციული მუშაობის ერთგვარი ღერძია. ამიტომაც მეტად საქმიანი, საინტერესო და ხალისიანი იყო თბილისის უნივერსიტეტში გამართული ეს სამდღიანი შეხვედრები.

თათბირმა მიიღო რეზოლუცია ოთხი უნივერსიტეტის შემდგომი თანამშრომლობის შესახებ. შეჯამებულია ღონისძიებათა გეგმა, ეს არის ერთობლივი სამეცნიერო სესიების, მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალების და სხვა მრავალი საინტერესო ღონისძიების მოწყობის პროგრამა. საუნივერსიტეტო გაზეთებში დაიბეჭდება მეგობარი სასწავლებლების ცხოვრების ამსახველი მასალები, გაიცვლება ნომრები, ინფორმაცია პარტიული მუშაობის ფორმების შესახებ. დაგეგმილია უნივერსიტეტთაშორისო შეხვედრები, რომლებიც სტუდენტი ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ისახავს მიზნად.

ბ. ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲠᲝᲪᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲒᲐᲜᲓᲔᲡ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲜᲐᲝᲡᲜᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

ᲪᲐ ᲠᲝᲛ ᲡᲣᲤᲗᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გაიმართა საქალაქო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „გარეშე ბუნების დაცვის საკითხებზე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწენი.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგგაგამ.

მოხსენება „ქ. თბილისის გარეშო ბუნების მდგომარეობა და სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი“ გააკეთა თბილისის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის უფროსმა ნ. გაბუნიამ. უკანასკნელი წლების მანძილზე, თქვა მან, რესპუბლიკაში და კერძოდ, ქალაქში, დიდი მუშაობა განხორციელდა გარემოს გასაჯანსაღებლად. მაგრამ სადღეისოდ მისი მასშტაბი თბილისის პირობებში არ არის საკმარისი.

დღემდე არ აღკვეთილა ფაქტები, როცა ზოგიერთი საწარმო გაუწმენდავ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ჩამდინარე წყალს უშვებს მტკვარში, არ არის საკმარისი ქალაქის გამწვანება, ყველგან რიდია უწრუნველყოფილი ატმოსფეროს სიწმინდე, განსაკუთრებით ინსპექციის უფროსმა ნ. გაბუნიამ. უკანასკნელი წლების მანძილზე, თქვა მან, რესპუბლიკაში და კერძოდ, ქალაქში, დიდი მუშაობა განხორციელდა გარემოს გასაჯანსაღებლად. მაგრამ სადღეისოდ მისი მასშტაბი თბილისის პირობებში არ არის საკმარისი.

დღემდე არ აღკვეთილა ფაქტები, როცა ზოგიერთი საწარმო გაუწმენდავ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და ჩამდინარე წყალს უშვებს მტკვარში, არ არის საკმარისი ქალაქის გამწვანება, ყველგან რიდია უწრუნველყოფილი ატმოსფეროს სიწმინდე, განსაკუთრებით

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘᲐ ᲐᲦᲒᲖᲠᲓᲐ

ᲝᲗᲮᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲚᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ-ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

□

თბილისს მიენიჭა 1976-1977 სასწავლო წელს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესო მომზადებისათვის.

მოხსენება გააკეთა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილემ ა. მაჭარაშვილმა.

კონფერენციაზე გამოვიდნენ თბილისის 48-ე საშუალო სკოლის პედაგოგი გ. გორგოძე, თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ე. ნინოიძე, თბილისის 72-ე საშუალო სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი ლ. ურეკაძე, თბილისის 110-ე საშუალო სკოლის დირექტორი ვ. მურადიანი, ბაქოს სახალხო განათლების მუშაკთა დელეგაციის ხელმძღვანელი ა. ახუნდოვი, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პროფესორი შ. ამონაშვილი, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. ხანიძე, პირველი მაისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ს. სხვიტორიძე, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი, პედაგოგიკის მეცნიერების კანდიდატი ა. ხუციკაძე, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ნ. ბურგენიძე და სხვები.

მომხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა „მაყოფილებით აღნიშნეს, რომ სახალხო განათლების ორგანოები, ქალაქის სკოლების, სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივები ეხორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, საშუალო სკოლის წინაშე დასახულ ამოცანებს.

სულ უფრო მტკიცდება სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თუ 1971 წელს სახალხო განათლების საქართველოსათვის გამოყოფილი იყო 315.410 მანეთი, მეცხრე ხუთწლედის ბოლოს ეს ციფრი 1.300 ჰექტარი ფართობი უკავია ვაზს საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, აქედან 900 მოსავლიანია.

გაზაფხულის თბილი დღეების დადგომისთანავე პლანტაციებში გაიშალა მექანიზებული სამუშაოები. მწკრივთაშორისების კულტივაცია და მინერალური სასუქების შეტანა, ვაზის გასხვლა.

სურათზე: ბრიგადირი გ. რუსიშვილი და მევენახე ო. ქეკნიშვილი ვენახების გასხვლის ხარისხს ამოწმებენ.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ფაქტები, პრობლემები

მსოფლიოს ამბები

საქმდესის კორესპონდენტები და უცხოეთის პრესის საგენტოები იუწყებიან

29 მარტი

მეგობრულ ვითარებაში

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ზამბიის დოკუმენტებს

ლუსაკა. (საკდესი). სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი შეხვდა სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს: ო. ტამბოს — სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესი, ჯ. ნკომოს — ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტი, ს. ნუიომას — სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის.

ნ. ვ. პოდგორნიმ სოლიდარობა გამოუცხადა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ნამიბიის, ზიმბაბვეს ხალხთა ბრძოლას ოლონიურ-რასისტული ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს განუხრელად დაუჭერს მხარს სამხრეთ აფრიკის ხალხთა ეროვნული განთავისუფლების მებრძოლთა სამართლიან საქმეს.

სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესის, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის, ზიმბაბვეს პატრიოტული ფრონტის ხელმძღვანელებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ საქმიანობენ პატრიოტული ძალები განმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ნამიბიასა და ზიმბაბვეში, შეეხნენ მათს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ რასისტული რეჟიმის ხრიკების აშლას, იმპერიალისტური წრეების მხარდაჭერით რომ ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და გაახანგრძლივონ თანიანი ბატონობა სამხრეთ აფრიკაში. მათ მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის პრინციპულ საგარეო-პოლიტიკურ გზას, რომელიც შეესაბამება ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა ღვიძილ ინტერესებს. ნიდი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა კავშირს იმისათვის, რომ �იცდად და თანამიმდევრულად უჭერს მხარს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ნამიბიისა და ზიმბაბვეს პატრიოტებს.

შეხვედრამ გულთბილ, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

ლუსაკა. (საკდესი). ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის (იუნიპი) თავმჯდომარემ, ზამბიის პრეზიდენტმა კ. კაუნდამ 28 მარტს სადილი გამართა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის პატივსაცემად.

სადილად იყვნენ საბჭოთა კავშირისა და ზამბიის ოფიციალური პირები, აგრეთვე სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

სადილის დროს კ. კაუნდამ და ნ. ვ. პოდგორნიმ სიტყვები წარმოთქვეს.

კ. კაუნდასა და ნ. ვ. პოდგორნის სიტყვები ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ლუსაკა. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა საბჭოთა კავშირ-ზამბიის დოკუმენტების ხელმოწერა.

საბჭოთა კავშირ-ზამბიის ეროთობლივ განცხადებას ხელი მოაწერეს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის (იუნიპი) თავმჯდომარემ, ზამბიის პრეზიდენტმა კ. კაუნდამ.

ხელი მოაწერეს აგრეთვე სსრ კავშირისა და ზამბიის რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის პროგრამას 1977-1978 წლებისათვის. მას ხელს აწერენ: საბჭოთა მთავრობის დავალებით — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი; ზამბიის მთავრობის დავალებით — საგარეო საქმეთა მინისტრი ს. მვალე.

დოკუმენტების ხელმოწერას ესწრებოდნენ იუნიპის გენერალური მდივანი გ. ზულუ, რესპუბლიკის პრეზიდენტი ე. მუდენდა, იუნიპის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მინისტრები, საბჭოთა ოფიციალური პირები, რომლებიც ნ. ვ. პოდგორნის ახლავან მოგზაურობაში.

ლუსაკა. (საკდესი). 29 მარტს ზამბიის რესპუბლიკიდან გაემგზავრა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც აქ ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ზამბიის პრეზიდენტის კ. კაუნდას მოწვევით.

ლუსაკის აეროპორტი მრრთულია სსრ კავშირისა და ზამბიის სახელმწიფო ალმებით. ნ. ვ. პოდგორნი გაიცილეს კ. კაუნდამ, ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის (იუნიპი) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სსრ კავშირის ელჩი ზამბიაში ვ. ვ. სოლოდოვნიკოვი.

შესრულდა საბჭოთა კავშირისა და ზამბიის სახელმწიფო ჰიმნები. ნ. ვ. პოდგორნიმ და კ. კაუნდამ ჩამოთვალეს საპატიო ყარაულის მწყობრს. მიეცა ერთი სალუტი. აეროპორტში საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ ზამბიის დედაქალაქის მცხოვრებნი.

ნ. ვ. პოდგორნისთან ერთად ლუსაკიდან მოზამბიკის დედაქალაქ მაპუტოში გაემგზავრნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირები.

როცა მეგობრული ზამბიის ტერიტორიას გადაუფრინა, ნ. ვ. პოდგორნიმ თვითმფრინავიდან დედამიწა გაუგზავნა ზამბიის რესპუბლიკის პრეზიდენტს კენეტ დევიდ კაუნდას. დედამიწა იგი გულითად მადლობას უძღვნის სტუმართმოყვარეული მიღებისა და გულთბილი მასპინძლობისათვის.

დაიხურა ლაპსის სესია

კარაკასი, (საკდესი). აქ დამთავრდა „ლათინური ამერიკის ეკონომიკური სისტემის უმაღლესი ორგანოს — ლათინური ამერიკის საბჭოს (ლაესის) მესამე სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამ რეგიონული ორგანიზაციის წევრი 25 ქვეყნის ფინანსებისა და ეკონომიკის მინისტრებმა. „რომელთაც განიხილეს ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები.

სესიის მონაწილეებმა აღნიშნეს ლაესის ფარგლებში თანამშრომლობის წარმატებით განვითარება, კერძოდ გარკვეულ პრობლემებზე მომუშავე მუშაკთა კომიტეტების ფუნქციანი საქმიანობა. გადაწყდა შეექმნას კიდევ რამდენიმე ასეთი კომიტეტი, მათ შორის რეგიონის ქვეყნებში ენების პროდუქტების წარმოების, გასაღებისა და განაწილების კომიტეტები. განხილეს მრეწველობასა და ვაჭრობაში ერთობლივი საწარმოების შექმნის შესაძლებლობანი. მიღებულია საერთაშორისო ფორუმებზე ლაესის წევრი ქვეყნების მოქმედების კოორდინაციის, სხვა რეგიონებთან კავშირების დამყარების მთელი რიგი ღონისძიებანი.

მინისტრებმა დიდი ყურადღება დაუთმეს იმპერიალისტური მონოპოლიების ხელყოფისაგან ლათინური ამერიკის ქვეყნების ინტერესების დაცვის საკითხს. მათ ამხილეს და გადაკრით უკეადეს უცხოეთის, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების კომპანიების ახალი ცდები სანქციები იხმარონ იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც დამოუკიდებელ განვითარებას ესწრაფვიან.

ნეონაციისტთა გამოსვლები

ბანოვერი. (საკდესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის — თავისუფალი დემოკრატიული პარტიის კოალიციური მთავრობის „საალმოსავლეთო პოლიტიკის“ წინააღმდეგ შეუნელებელი გამოხდომების, რევანშის აშკარა პროპაგანდისა და ევროპის სოციალისტური ქვეყნების ხალხებისადმი მტრობის ნიშნით ჩაიარა ბანოვერში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი ნეონაციისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ.

ყრილობაზე ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ მ. მუსზნეგმა დამსწრეთ მოუწოდა „მტკიცე და უკომპრომისო ბრძოლა“ გააჩაღონ მთელი პროგრესული ძალების წინააღმდეგ დასავლეთ გერმანიაში.

ყრილობაზე გამოსულმა სხვა ორატორებმა მოითხოვეს სს-ის ჯარების ყოფილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების „საპატიო რეაბილიტაცია და ფინანსური კომპენსაცია“, რომლებიც, როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შედეგად დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოაცხადეს.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის „პოლიტიკური პროგრამის“ ხასიათს მოწმობს ყრილობაზე მიღებული „მისასალმებელი წერილები“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და როდეზიის რასისტული რეჟიმების მეთაურების ფორსტერისა და სმიტისადმი.

ყრილობამ მიიღო ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-დემოკრატიული მანიფესტი“, რომელშიც დასახულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელი ნეონაციისტური და ულტრამემარჯვენე ძალების „ჩამოყალიბებისა და გაერთიანების“ ამოცანა ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის მეთაურობით.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელთა განზრახვას თავიანთი პარტია გადააქციონ „საბრძოლო პოლიტიკურ ორგანიზაციად“ ადასტურებენ დასავლეთგერმანელი ნეონაციისტთა ხელიგნური „აქციები“ ჰანოვერის ყრილობის დღეებში. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ „ახალგაზრდა ნაციონალ-დემოკრატებმა“ ქალაქის ცენტრში მოაწყო მყვირალთა თავყრილობა, რომლის მონაწილეებმა მოითხოვეს ნაცისტ დამნაშავეთა გამართლება. გათავხედებული ირაზმადები თავს ესხმოდნენ ზოგიერთი დემოკრატიული ორგანიზაციის შენობებს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოება პროტესტს აცხადებს ნეონაციისტთა გამოხდომების წინააღმდეგ, რომლებიც არ წყდება. ანტიფაშისტური ბრძოლის ვეტერანთა, ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტყვეთა, ქალთა ორგანიზაციები, ახალგაზრდობა მოითხოვენ ყველა ნეონაციისტური ორგანიზაციის აკრძალვას, აგრეთვე მათ მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთების გაუქმებას.

ფოტოეკრანი

ჩვენს ეპოქიბელ ფინეთში

თუ სამხრეთ ფინეთში წელიწადი ოთხ ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ სეზონად იყოფა, ლაპლანდიაში — ქვეყნის ჩრდილოეთში წელიწადის მხოლოდ ორი დრო — მოკლე ნათელი, მზიანი ზაფხული და ხანგრძლივი ბნელი ზამთარი. მაგრამ როგორი ძნელად შესაგუებელიც უნდა იყოს პოლარული ღამე, იგი ხელს არ უშლის ადგილობრივ მკვიდრთ, რომ ნაყოფიერად წარმართონ, თავიანთი ძირითადი საქმიანობა — მეირმეობა.

სურათებზე: (მარჯვნივ, ზემოთ) — ლაპლანდიელ მეირმეებს ხშირად ნახავთ დასახვენებლად ხახელდახელოდ დანთებულ კოცონთან მიმსხდართ; (ქვემოთ) — მეირმეები; (მარცხნივ) — ორიგინალური და თავისებური ლაპლანდიის მცხოვრებთა ეროვნული ტანსაცმელი.

ლეხტიჟუკი-ხაჟდსნი ფოტო.

სსრ კავშირის ინიციატივით

ნიუ-იორკი, (საკდესი). აქ დაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განიარაღების სპეციალური სესიის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის პირველი სხდომა. იგი 54 სახელმწიფოს წარმომადგენელთა შემადგენლობით დაარსდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 31-ე სესიის იმ რეზოლუციის შესაბამისად, რომ 1978 წლის მაის-ივნისში ნიუ-იორკში მოწვეულ იქნეს განიარაღებისადმი მიძღვნილი სპეციალური სესია.

სსრ კავშირის პრინციპული ინიციატივა სპეციალური სესიის საკითხზე გაშუქებულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს წერილში „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი. საბჭოთა კავშირმა წინადადება წამოაყენა განიარაღების „ამოცანა ... ყველაზე ფართო და ავტორიტეტულ ფორუმზე — განიარაღებას მსოფლიო კონფერენციაზე. ამ კონფერენციის „მოწვევის გზაზე შუალედური ეტაპი იქნებოდა გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია, რომელიც განიარაღების საკითხებს მიეძღვნება.

მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე გამოსულმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა ხაზი გაუსვა, რომ უაღრესად საჭიროა გამალებული შეიარაღების ალაგმვა.

ლათინური ამერიკა: ბრძოლა პროგრესისათვის

ლათინური ამერიკის ქვეყნებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მსოფლიო რევოლუციურ პროცესში. ბრძოლა იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ მათ აზიისა და აფრიკის ქვეყნებთან ახლოვებს, მაგრამ მათგან იმით განსხვავდებიან, რომ დამოუკიდებლობის დიდი ხნის ტრადიციები აქვთ. კაპიტალიზმის ბაზა აქ უფრო ფართოა, ვიდრე აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, მიუხედავად ამისა ლათინურამერიკელ ნიადაგზე კაპიტალიზმის ევოლუციამ უაღრესად დეფორმირებული ხასიათი მიიღო, რამდენადაც იგი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს იმპერიალიზმის ეკონომიური ზემოქმედებისა და მიწათმფლობელობის უკიდურესად ჩამორჩენილი სტრუქტურის შენარჩუნების პირობებში.

ლათინურ ამერიკაში ჯერ კიდევ ძლიერია ფეოდალიზმის გადმონაშთები უზარმაზარი ლატიფუნდიების სახით, რომელთა მფლობელებიც გამდიდნ რეაქციული ტენდენციების მატარებლად როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. ლატიფუნდისტი, რომელსაც უმიწაწყლო გლეხობის სახით იაფი მუშახელი ჰყავს, დაინტერესებული არ არის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციით. 600 ათას მიწათმფლობელს 25-ჯერ მეტი მიწის ფართობი აქვს ვიდრე 7 მილიონ წვრილ მიწათმფლობელს — „მინიფუნდისტს“, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ 20 მილიონ ადამიანს მიწა საერთოდ არა აქვს. ბრაზილიაში, მაგალითად, 33 ათასი ლატიფუნდისტი (სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა 1 პროცენტი). დასამუშავებელი მიწების 50 პროცენტს ფლობს, მაშინ როდესაც 1,5 მილიონი გლეხ და მოჯარადრეთა განკარგულებაში მიწების 3 პროცენტია, ლატიფუნდიზმი საფუძვლად უდევს ლათინურ ამერიკაში ყველა იმ სოციალურ-ეკონომიკურ უბედურებას, სტრუქტურულ კრიზისს, რომ უწოდებენ.

ეკონომიკური განვითარების მიხედვით ლათინური ამერიკის ქვეყნები მიუახლოვდნენ კაპიტალიზმის განვითარების საშუალო დონეს და დიდად გაუსწრეს აზიისა და აფრიკის ქვეყნებს. მრეწველობის ხვედრითი წონა არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის პროდუქციის საერთო მოცულობაში ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ინდოეთში ან ეგვიპტეში, მაგრამ 8-ჯერ ნაკლებია ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური ამერიკა სხვადასხვა ქვეყნების კომბლექსია, რომლებიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგანან. ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა, რომლებსაც შეიძლება დავუმატოთ ვენესუელა და ურუგვაი, საშუალო განვითარების აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყნებია, მაშინ როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, პარაგვაი, ჰაიტზე) დღემდე შენარჩუნებულია მეურნეობის ნახევრადფეოდალური ნაშთები და კაპიტალისტური მრეწველობა თითქმის არც არსებობს.

ბუნებამ გულუხვად დაჯილდოვა ლათინური ამერიკის ქვეყნები ნედლეულის დიდი მარაგით. მასზე მოდის კაპიტალისტურ სამყაროში არსებულ რკინის მადნის 41, მარგანეცის 33, სპილენძის მადნის 23, ბერილიუმის 52, გოგირდის 28 პროცენტი. ამ რეგიონის ქვეყნების მეტი ნაწილი მოქცეულია ტროპიკებს შუა და ობილი და ნოტიო ჰავა წელიწადში რამდენიმე მოსავლის აღების საშუალებას იძლევა. მათ ხორცის, სიმინდის, ბამბის, შაქრისა და სხვა კულტურების მოყვანის დიდი შესაძლებლობები აქვთ. არგენტინის, ბრაზილიის და ურუგვაის წილად მოდის მსოფლიოში ხორცის კონსერვების ექსპორტის ნახევარზე მეტი. და მაინც ლათინური ამერიკის 300 მილიონიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი შიმშილობს. ყოველწლიურად შიმშილისაგან აქ 1 მილიონი ბავშვი კვდება, რომლებსაც 5 წლის ასაკამდეც ვერ მიღწევიათ.

ლათინური ამერიკის შრომმხურნარიანი მოსახლეობის 10-დან 25 პროცენტამდე უმუშევარია და 40 პროცენტი — სეზონურად მომუშავე. კონტინენტის მოსახლეობიდან 80 მილიონი უწიგნურია, ხოლო მილიონი ბავშვი სავერთოდ არ დადის სკოლაში. თვით მექსიკაში რეგიონის ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყანაში — უწიგნურია მოზრდილი მოსახლეობის მეოთხედი, მაშინ როდესაც დაწყებითი სკოლის 30 ათასი მასწავლებელი უმუშევარია. დღეისათვის ლათინური ამერიკის მოსახლეობის 35 პროცენტი მოკლებულია ყოველგვარ სამედიცინო მომსახურებას. ყოველივე ამ უბედურებათა ძირითადი მიზეზი ლათინური ამერიკის ჩრდილოელი მეზობელია.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიას გადაეხედავთ, აშკარად ჩანს, რომ მისი „კეთილდღეობის საზოგადოება“ ლათინურამერიკული საფუძრით გამოცხვა. ლათინური ამერიკის ექსპლოატაციამ ხელი შეუწყო არა მარტო ჩრდილოეთამერიკული მონოპოლიების გამდიდრებას, არამედ „საშუალო ამერიკელის“ მატერიალურ კეთილდღეობასაც.

საკმარისია ითქვას, რომ ლათინური ამერიკიდან შეერთებულ შტატებში უწყვეტ ნაკადად მიედინება წუთში 4 ათასი დოლარი, დღეში 5 მილიონი, წელიწადში კი 2 მილიარდი დოლარი და ეს იმ დროს, როდესაც ლათინურ ამერიკაში ავადმყოფობისა და შიმშილისაგან კვდება ყოველ წუთში 4 ადამიანი, დღეში 5 500, ხოლო წელიწადში 2 მილიონი.

ამ უკანასკნელ ხანს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოვლენებმა (ენერგეტიკული და სავალუტო-ფინანსური კრიზისი, ინფლაცია, მერყეობა კაპიტალისტური წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგებში და სხვა) კიდევ უფრო გააძლიერეს ლათინური ამერიკის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს იმ ღონისძიებებს, რომლებიც აქ ხორციელდება ეროვნული ეკონომიკა განმტკიცებისა და იმპერიალისტური ექსპლოატაციის ლიკვიდაციის მიზნით.

თანამედროვე ეტაპზე ლათინური ამერიკის ბრძოლას ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის ახასიათებს უწინარეს ყოვლისა ის, რომ დღის წესრიგში დადგა მონოპოლისტური კაპიტალის მთელი რიგი მნიშვნელოვანი პოზიციების ლიკვიდაცია. ბრძოლის ძირითადი მიზანია ერისათვის ბუნებრივი სიმდიდრის დაბრუნება, უცხოური კაპიტალის განდევნა სამთამადნო, ნავთობმომპოვებელი მრეწველობიდან, პლანტაციური მეურნეობიდან, ე. ი. ამ ქვეყნების ეკონომიკის ძირითადი დარგებიდან. ამასთან საკითხი ეხება არა მარტო ბუნებრივი რესურსების საკუთარ ხელში აღებას, საერთაშორისო რეაქციამ და ადგილობრივმა ოლიგარქიამ მთავარი დარტყმა ჩილეს წინააღმდეგ მიმართეს. სადაც მოაწყეს სამხედრო-ფაშისტური პუტჩი და დაამხეს სალვადორ ალიენდეს კანონიერი მთავრობა. სახელმწიფო გადატრიალება მოხდა ურუგვაიშიც, რომელიც დასავლურ ნახევარსფეროში ბურეაზიული წარმომადგენლობითი დემოკრატიის ნიმუშად მიაჩნდათ. მიუხედავად ამისა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის სახელმწიფო გადატრიალება ბოლო ხილი არ არის (1930-1964 წლებში აქ მოხდა 76 სახელმწიფო გადატრიალება, საშუალოდ წელიწადში ორი გადატრიალება, ხოლო უკანასკნელ 15 წლის მანძილზე ლათინურ ამერიკაში მოხდა 25 სამხედრო გადატრიალება) ჩილეს და ურუგვაიმი მომხდარი გადატრიალება ყველაზე სისხლიანი აღმოჩნდა. მხეცურად აწამეს და მოკლეს ათასობით პატრიოტი, ბევრი კი დღემდე საკონცენტრაციო ბანაკებში იტანჯება. ტერორისა და ფაშიზაციის გზით რეაქციულ ძალებს სურთ რეაქციული პროცესების შეჩერება. ლათინური ამერიკის ქვეყნებში რევოლუციური გამოსვლების საწინააღმდეგო წამალი ტერორია და არა რეფორმებიო, ამბობენ ესენი, ვინც ამ ქვეყნებში თარეშობს მიჩვეული.

ჩილესა და ურუგვაიში მომხდარი გადატრიალებების შემდეგ იმპერიალისტებმა გააძლიერა ძირგამომთხრელი საქმიანობა პერუში, პანამაში, ეკვადორსა და სხვა ქვეყნებში. იმპერიალიზმის არსენალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მონიჩახს. „მოსკოვის ხელისა“ და „კონტინენტზე კუბის აგრესიის შესახებ“, რაც განსაკუთრებით ანგოლელ პატრიოტთა გამარჯვების შემდეგ გაძლიერდა. ადგილობრივი რეაქცია არ იშურებს ძალ-ღონეს ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოური პროპაგანდისათვის, მობილიზაციას უკეთებს ყველფერს, რაც კი ანტიხალხური და რეაქციულია ამ ქვეყნებს შიგნით. მაგრამ ლათინური ამერიკის იმპერიალიზმ ოლიგარქიამ მოდერნარ მოვლენებისაგან. ამ ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების დაბრუნება ზრდის მასების უკმაყოფილებას.

მუშათა კლასი ლათინურ ამერიკაში 40 მილიონ კაცს ითვლის — კაპიტალისტური სამყაროს მუშათა კლასის დაახლოებით ერთ მეათედან, რომლის სტრუქტურაშიც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სამრეწველო პროლეტარიატს. მუშათა კლასის კლასობრივი შეგნებულობის ზრდაში დიდ როლს ასრულებენ კომუნისტური პარტიები, რომლებიც მის პოლიტიკურ ავანგარდს წარმოადგენენ. ამჟამად ისინი მოქმედებენ რეგიონის 22 ქვეყანაში და აგრეთვე სამ კოლონიაში (პუერტო-რიკოში, გვადელუპასა და მარტინიკაში). თავის რიგებში კომუნისტური პარტიები ერთიანებენ 500 ათას კაცს (კუბის კომპარტიის ჩათვლით). გარდა ამისა ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყნებში — პერუში, ვენესუელაში, კოსტა-რიკაში, ეკვადორში, მექსიკაში და ა. შ. მოქმედებენ ძლიერი პროფკავშირული ორგანიზაციები.

უკანასკნელ წლებში კონტინენტზე ფართო ბრძოლა გაჩაღებული ლათინური ამერიკის განთავისუფლების გზების ძიებისათვის.

ლათინურ ამერიკაში რევოლუციური პროცესის გაღრმავებას ხელს უწყობს არა მარტო საშინაო, არამედ საგარეო ფაქტორებიც, კერძოდ, კი სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის დაცვის და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ხასიათი აქვს. „საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური სახელმწიფოები, — ნათქვამია სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“, — ყოველნაირად უჭერენ მხარს განვითარებადი ქვეყნების ბრძოლას იმპერიალისტური ექსპლოატაციისაგან სრული განთავისუფლებისათვის, იმ უფლებისთვის, რომ თვითონ განაგებდნენ თავიანთ ბედს“. სსრ კავშირის, კუბისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მაგალითზე ლათინური ამერიკის ხალხები სულ უფრო ღრმად რწმუნდებიან სოციალიზმის უპირატესობაში. საერთაშორისო არენაზე მომხდარი ცვლილებები, მიუხედავად იმპერიალიზმის წინააღმდეგობისა, ლათინურ ამერიკაში ნოყიერ ნიადაგს პოულობს. ცხოვრებამ თვალნათლივ ცხადყო, რომ კაპიტალიზმს არ ძალუძს გადაჭრას სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. და რომ ლათინური ამერიკის ხსნა—ეს არის არა რეფორმიზმი, არამედ ბრძოლა ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და ღრმა სოციალური გარდაქმნებისათვის.

გ. გოლოთაშვილი.

საქართველოს სტუმრები

თბილისში სტუმრად იმყოფება საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების პროფკავშირულ მოღვაწეთა ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სსრ კავშირის პროფკავშირების XVI ყრილობის მუშაობაში. მათ შორის არიან პროფკავშირთა მეთაურები [illegible] ლიო კონფედერაციის სექტორის გამგე დანიელ ქუბატოვა, ესპანეთის მუშათა კომისიების წარმომადგენელი ალონსო ელვირა, ახალი კალედონიის მშრომელთა კონფედერაციის გენერალური მდივანი რიმონდ ჟოაე, პორტუგალიის მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის სამდივნოს წევრი როკარიო ტორეეი, თურქეთის ბანკის მოსამსახურეთა პროფკავშირის თავმჯდომარე დენიზმენ მეტინი, საფრანგეთის მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციის მდივანი ჟან კლოდ ლა რიში, ამ კონფედერაციის აღმასრულებელი კომისიის წევრი მიშელ ბუტეი.

სტუმრებმა დათვალიერეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, იყვნენ თბილისის შამპანური ღვინის და კონიაკის, სახელობის ჩარხსშენებელ ქარხნებში, ეწვივნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, გაეცნენ თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობებს.

28 მარტს საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირული მოღვაწეები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ი. აბაშიძემ. მან სტუმრებს გააცნო რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგის მიღწევები.

სტუმრებს კითხვებზე უპასუხეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა, რესპუბლიკის სახელმწიფო სგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. მი[illegible] ... ეროვნული ... ტრიზმის [illegible] ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

ახალი შეხვედრა ძველ ნაცნობებთან

თვით ის ფაქტი, რომ რუსთაველის თეატრის სცენაზე ოცი წლის წინით დადგმული „ომეფა „ეზოში ავი ძაღლია“ დღეს მარჯანიშვილის თეატრმა თავის მორიგ პროგრამად გვიჩვენა, იმაზე მიგვითითებს, რომ კიტა ბუაჩიძის პიესის გმირები დღესაც ცოცხლობენ. მაგრამ მარტო „ოლორიტულ“-ყოფითი დეტალების შემცველი ფაბულა და თემის ცხოველმყოფელობა სცენაზე დასამკვიდრებლად არ კმარა, პიესას უდავო მხატვრული ღირსებები მოეპოვება და მოწონაც იდეებს ეყრდნობა. თანამედროვეობის ამსახველი ქართული დრამატურგია, მართალია, ჯერ კიდევ საჭირო დონეზე არ დგას, მაგრამ არც ისეთი ღარიბია, რომ, თუ საათანადო სურვილს გამოიჩენთ, მიღწეული დანახვა გაჭირდეს.

სარეცენზიო სპექტაკლში მსახიობი ოენგიზ მაისურაძე მშვენივრად ჩასწვდა მთავარი პერსონაჟის — ვანო ლაითაძის მზაკვრულ ხასიათს. ამ არაკაცს ათასნაირი ცოდვები აქვიდეს, მაგრამ თავს ისე გვაჩვენებს, თითქოს სიკეთის და გულწრფელობის განსახიერება ყოფს. საკმარისია როლის განსახიერების დროს რიტმი შესუსტდეს, ყალბ გზაზე მდგომს მჩქეფარე მგრძნობელობა მოაკლდეს და უკეთესი სამის მოტრფიალეს სიტყვის დამაჯერებლობამ უმტყუნოს, რომ გმირის სახის შექმნა შეუძლებელი გახდეს. მსახიობმა კი უთვალავი სიძნელე წარმატებით გადალახა და დამაჯერებელი სახე შექმნა.

სცენაზეა ლაითაძის ღირსეული თანამეცხედრე ფოფია — ელენე ყიფშიძე. ჩვენ წინ შემოქმედი დგას, რომელსაც არ აკლია სამსახიობო კულტურა, გამოცდილება და ბუნების მიერ უხვად მომადლებული ნიჭი და ენერგია. მართალია უარყოფით გმირს განასახიერებს, მაგრამ მსახიობის მიერ შექმნილი სახე იმდენად თამაშებეშდავი და დამაფიქრებელია, რომ მაყურებელი თავის მადლობის და ქმაყოფილების გამოსახატავად მქუხარე ტაშს მარტო ერთხელ როდი მიმართავს.

რუბენ მინდელოვი (ვახტანგ ნინუა) ხელოვნების ეტრფოდა, მაგრამ უბედურებამ ხმა წაართვა და ახალგაზრდა მომღერალი თავისი ლამაზი მეუღლის, ვერგარა კარპოვნას მსმენელობაზე და მწყემსად აქცია. უკუღმართ ბედზე დაბადებულს, არც იურისტის პროფესიამ გაუმართლა იმედი და ალა, ტალახიანი ცხოვრების ფსკერზე მდგომარეს, ისღა დარჩენია, უმადური მეუღლის „კაპრიზები“ ითმინოს, ავი ძაღლის მარჩენალიც იყოს და ცოლის საოცნებო ცხოველი რომ არ წაართვან, ისეთ გარეგნობაში, როგორიც ლაითაძეები არიან, ელოდიაგოს, თქვას და გააკეთოს ის, რაც არცა სწამს და არც ეკადრება. ასე ამზადებს და ზრდის ცხოვრების უკეთესობა რუბენის ტრაგიკულ კოშმარს. სცენაზე ბაზრიდან დაბრუნებული მინდელოვი სანოვაგით სავსე ბადეებით შემოდის. მსახიობის ყოველი ნაბიჯი, ირონიული ღიმილი და ენერგია, უსიზარელ ცხოვრების ჩარხის ტრიალს გამოხატავს. ვ. ნინუას შესწევს უნარი პატარა ინტონაციითაც კი მაყურებელი ცხოვრების ბნელ და ნათელ კუნჭულებში ჩაახედოს.

ვარვარა კარპოვნამ თავისი სილამაზე ღარიბ ქმრის ხელშიაც ძვირად გყოფდა; თავი მტერსა და მოყვარეს შეაბრალა და ყველა აიძულა რიდითა და პატივისცემით მოგვყრან. იგი ძაღლის მიმართ გამოთქმულ უმნიშვნელო შენიშვნასაც ვერ იტანს და მზად არის არაფრისმაქნისი ინტერესები ისტერიკებით და ყალბი მსჯელობებით დაიცვას. მედეა ჯაფარიძემ ამ რთული როლის საჭირო გასაღები მონახა, გმირის შინაგანი სამყარო გამოამზეურა, კარპოვნას მოკმედება და საქციელი დამაჯერებელი გახადა და ოსტატურად გამოკვეთა მრავალსმეტყველი სახე.

ჩინჩახელმა (გივი ბერიკაშვილი) ცხოვრების შუადღეს ისე გადაიცილა, მუშაკაცის მარჯვენა არ შეურცხვენია. ლაკონიურად და რეალისტურად ძერწავს გივი ბერიკაშვილი კოლორიტულ გმირს და პერსონაჟის ხასიათის სრულყოფილი ჩვენებით მაყურებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ „ბუნებრიმა მეტხველებამ“, რომელიც ასე სპირდება რეალისტურ თეატრს, ისე არ უნდა გაგვიტაცოს, რომ მეექვესე რიგის იქით, მაყურებელს სიტყვის გაგება გაუჭირდეს.

სცენაზე ეთილი, ბოროტების გამომცნობი და მისი მტერი, იეზიდი გოგონა, უბრალო, მაგრამ საჭირო საქმეს ცოცხით რომ აკეთებს. სარე — სოფიკო ჭიაურელი „შემოქმედობა“ და მაყურებელთა ტაშს იწვევს. სოფიკო ჭიაურელის სარე ცხოვრების რომანტიკოსია. ჯერ კიდევ აკვანში დანიშნული, ჯარიდან საქმროს ჩამოსვლაზე მომხიბვლელად ოცნებობს და მოიხლოველ სამდღიან ქორწილში, ფარფლალა ხალიჩის მეპატრონე „ხაზეიკას“ და სხვა მეგობრებს გულითადად ეპატიჟება. და აი, სარე, ლაითაძის ოინები ასე კარგად რომ გამოიცნო და ჩინჩახელთან და მოკეთე ქალებთან საუბრით დატება, ეპაკვის იწყებს. ტბილი ოცნების და სიკეთის რეალურ გამარჯვებაში დარწმუნებული, მომავლის იმედით შემყური მაყურებელს ცხოვრების სიმშვენიერეში არწმუნებს.

ნინო ჩხეიძის ცაცანას ბედის ირონია და კომედიური სახალისე შემოაქვს სცენაზე და ხშირად შინაბერას ტრაგედიას ისე წარმოგვიგენს, თითქოს ცხოვრებაში გამარჯვებული იყოს. ცაცანას ნ. ჩხეიძე წარუშლელი შთამბეჭდობით განასახიერებს. ლაითაძის ერთადერთი ქალიშვილი როზიტა (ლია პიტავა) სწავლისა და სასარგებლო შრომისათვის თავს არ იწუხებს. მას საკუთარი სილამაზის იმედი აქვს და სამედიცინო ინსტიტუტში დაუმსახურებლად ჩარიცხულს, მხოლოდ დღეობები, თაყვანისმცემლები და „მომგებიანი“ საქმროს გულის მონადირება და სხვის ხარჯზე უზრუნველი ცხოვრება ინტერესებს. მაგრამ გარკვეული მომავლის მქონე არქიტექტორი ლაითაძეების მიერ დაგებულ ხაფანგებს გადაურჩება და ლამაზ უქნარას ცივი უარით გაისტუმრებს, მაგრამ როზიტა მხიარულებას არც ამის გამო სცვლის მწუხარებაზე.

თანამდებობის მქონე მამის იმედით მეცხოვრები გურამ შელია (ამირან ბუაძე) ინსტიტუტის პირველი კურსიდანვე უვიღობისა და ცუდი ყოფაქცევისათვის რომ გამოაძევეს, ახლა ლაითაძეების ქალიშვილს ასდევნებია და სატრფოს გულწრფელ სიყვარულს დაუღალავად უმტკიცებს. ლია პიტავა და ამირან ბუაძე თავიანთ გმირების ტიპობრიობაში გვაცნობენენ და ეს პატარა მიღწევა როდია. უშუალობითა და დამაჯერებლობით არის აღბეჭდილი მარინე ბაკალაას მიერ შექმნილი ირინე. ზემოქმედებას და დამაჯერებლობას როდი მოკლებული გურამ მირცხულავას მიერ განსახიერებული ლეო. ლანდია. ლამარა ყარასაშვილი ელო გოგნიაურის, ხოლო გივი გოგუა ჟურნალისტის როლში სპექტაკლს საჭირო ფერებს მატებენ. კარგია პატარა მსახიობის მამუკა ყუფარაძის მიერ შექმნილი თამაზი.

უშანგი იმერლიშვილის მხატვრობა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ დამაკმაყოფილებელს რატომ უნდა დავჯერდეთ იქ, სადაც კარგის შექმნა შეგვიძლია?! სადავო არ არის ის ფაქტი, რომ მარჯანიშვილის თეატრის დარბაზი და, განსაკუთრებით, სცენა დღეს შეძლებული რაიონის კლუბსაც ვერ დაამშვენებს, მაგრამ სანამ უკეთესი არა გვაქვს, არსებული შესაძლებლობა მთლიანად უნდა გამოვიყენოთ: სცენაზე იკუბული სახლის ოთახებისთვის შეიძლებოდა მეტი ფართობი მიგვეცა — მსახიობებმა როლებზე იფიქრონ თუ იმაზე, ფეხი სად დადგან და კიბიდან რამენაირად არ ჩამოვარდნენ. მხატვარი ოდნავადაც არ შემცდარა, როცა სცენაზე სახლი აუშენა — დრამის შინაარსი სწორედ სახლის ფიზზე მეფენდება. მაგრამ რაკი სცენაზე სახლის კედლები იკვეთენ, მას სახურავიც უნდა დავადგათ.

ყოველგვარი დაუმთავრებელი დეკორაცია თეატრალურ ხელოვნებაში მთავარის მტერია. მთავარი კი აქ დრამატურგის მიერ შექმნილი გმირები არიან. ზოგიერთი ფიქრობს, მხატვარმა თავისი დეკორაციით სახლზე, ჭეჭაზე, ღობეზე და სხვ. მხოლოდ უნდა მიგვანიშნოს, მაყურებელმა იგი თავის გონებაში თვითონ უნდა დაამთავროსო. მხატვარი თეატრში დამოუკიდებელი ნაწარმოების შემქმნელი როდია, რომ მას მაყურებელმა ყურადღებაც და აზროვნების დიდი ნაწილი დაუთმოს. დეკორაციის აღქმა, თავისი სრულყოფილების წყალობით მხოლოდ მსახიობს მიერ სცენაზე გამომეტყველებულს აღქმასთან ერთად იმენს თეატრში ესთეტიკურობას და იგი მთელს დაუნაწევრებლად და „შეუჩნეველად“ უნდა მიმდინარეობდეს. მაგრამ მაყურებელს თუ გონების რეალით სცენაზე სახლების და ქუჩების „შენებლობა“ დავაკირეთ, ამით თავადის აღქმას აუცილებლად დავაკნინებთ, მით უფრო, რომ დეკორაციები უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე იდეა.

ვახტანგ კუზიანაძის მუსიკის მრავალფეროვნება სასურველი იყო დრამის მრავალფეროვნებასთან უფრო ახლოს ყოფილიყო. მშვენიერია ოერი ზარეკაის ქორეოგრაფია, იგი გმირთა ხასიათიდან მომდინარეობს. რეჟისორს ანსამბლის შექმნისათვის უზრუნვია და თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებს, სრულიად კანონზომიერად, ხაზგასმით გვიჩვენებს. დაბეგვნილი მიზანსცენები ტრაგიკული კომედიის ბუნების შესაბამისია და ცხოვრების უარყოფით მოვლენებს ისე წარმოგვიდგენს, რომ მანკიერება მაყურებლის ზიზღს იწვევს. ყოველივე ეს — უფრო სასიხარულოა, რომ სპექტაკლი თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტმა, რეჟისორმა გიორგი თოდაძემ დადგა (ეთვი ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით). სპექტაკლიდან სამედიო დრამატურგიამ, რეჟისურამ და მსახიობის ოსტატობამ გამოანთა.

ვ. კალაძე.

სურათებზე: სპექტაკლის სცენები — მარცხნიდან, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. მაისურაძე (ლაითაძე), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. ნინუა (მინდელოვი), მსახიობი მ. ბუალავა (ირინე), რესპუბლიკის სახალხო არტისტი ხ. ჭიაურელი (სარე).

(საქინფორმის ფოტოკორონიკა).



ბორჯომში მალე ხელახლა დაეცემა ახალი შვიდსართულიანი კეთილმოწყობილი სასტუმრო „თბილისი“. იგი ააშენა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეცხრე ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველომ.

სასტუმრო ძირითადად ერთ და ორ-საწოლიანებია. იგი მოწყობილია თანამედროვე ავეჯით, ლამაზი ინტერიერებით. აქვს კეთილმოწყობილი კაფე-რესტორანი.

სურათზე: ახალი სახტუმრო „თბილისი“ ბორჯომში, მ. გიგოზიანის ფოტო.

ბუნების ქომაგნი

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საკავშირის მე-9 ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ყრილობაზე განიხილეს ფაუნის რესურსების რაციონალურად გამოყენების, მისი გამდიდრებისა და გამრავლების, რესპუბლიკის მონადირეობისა და მეთევზეობის მეურნეობის შემდგომი განვითარების, მათი მეცნიერულ საფუძველზე გადაყვანის საკითხები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს მონადირეებისა და მეთევზეების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. მგელიაშვილმა.

ყრილობაზე აღნიშნეს, რომ პარტია და მთავრობა ყურადღებას არ აკლებენ ფლორისა და ფაუნის დაცვას, მათ რაციონალურ გამოყენებასა და გამრავლებას. ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მიიღეს დეკრეტი ნადირობის, ტყის, სამონადირეო ფაუნისა და თევზის მარაგის დაცვის შესახებ.

საბჭოთა კავშირში საქართველო ერთ-ერთ წამყვან ადგილზეა ბუნების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. აქ არის 66 სამონადირეო მეურნეობა, რომლებსაც 486 ათასი ჰექტარი ფართობი უკავიათ. ტყეში, მთასა და ბარში ბინადრობს შველი, არჩვი, ჯიხვი. ტბებსა და მდინარეებში ასზე მეტი სახეობის თევზია.

რესპუბლიკაში, თქვეს ყრილობაზე, გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს სამონადირეო მეურნეობების სამრეწველო საფუძველზე გადაყვანისათვის. შარშან მონკავშირის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომ დიდი სამონადირეო მეურნეობები შექმნას ლანჩხუთასა და თიანეთის რაიონებში, სადაც ამჟამად უკვე დაწყებულია სამუშაოები. ზეგდიდისა და ლანჩხუთის რაიონებში დასასრულს უახლოვდება ნუტრიის სპეციალიზებული მეურნეობის შექმნის სამუშაოები.

მთელი რიგი ღონისძიებები ხორციელდება ავრეთვე მეთევზეობის განვითარებისათვის. სისტემის გამგეობაშია 776 ჰექტარი ხელოვნური წყალსატევი და ტბა, სადაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე დაიჭირეს და სახელმწიფოს მიყიდეს 920 ცენტნერი თევზი. ამასთან, აღინიშნეს ყრილობაზე, ბრაკონიერობისა და აგრეთვე მდინარეებსა და ტბებში სამრეწველო საწარმოების მავნე ნარჩენების ჩაშვების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა თევზის მარაგი.

ყრილობის მონაწილეებმა დასახეს მონადირეობის შემდგომი განვითარების, ფლორისა და ფაუნის სიმდიდრეთა შენარჩუნებისა და გამრავლების კონკრეტული ღონისძიებანი.

ყრილობაზე გამოვიდნენ ქალაქ მოსკოვის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ნ. კუბერიანოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ბ. ყურაშვილი, აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირების პრეზიდიუმის თავმჯდომარეთა მოადგილეები გ. გაჯიევი, ვ. სააკიანი და სხვები.

ყრილობამ საქართველოს სსრ მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია ნ. მგელიაშვილი.

(საქინფორმი)

საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა მეცხრე ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან): ჭ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მონადირეთა და მეთევზეთა პირველადი კოლეტივის თავმჯდომარე ა. კობერიძე, საპატიო მონადირე გ. გიორგაძე, მონკავშირის პრეზიდიუმის მუშაკი ვ. გოლაძე, წალენჯიხის მონადირეთა და მეთევზეთა გამგეობის თავმჯდომარე პ. როგავა.

ვ. კასიშვილის ფოტო.

„კომუნისტის“ ფოსტიდან

მკითხველის კალმით

✦ **მახარაძე.** მეოთხე საქალაქო ბიბლიოთეკის საბჭომ ექადიის კულტურის სახლში გამართა ზეპირი ჟურნალი თემაზე: „შრომა და სოციალისტური დისციპლინა“, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის მზადებას.

ზეპირი ჟურნალი გახსნა კოლმეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ა. ბერიშვილმა. მოისმინეს მოხსენებები: „ვადიდოთ შრომა“, „დისციპლინა შრომითი წარმატების საწინდარია“ და სხვ.

დასასრულ კულტურის სახლთან არსებულმა ეოკლურმა ჯგუფმა კონცერტი გამართა.

ნ. ასათიანი

✦ **ქმდა.** საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულმა ორგანიზაციამ სოფლებში: ცხმორისში, გეგელიძეებში, კოკოტაურსა და ახოში „ლექტორთა დღე“ მოაწყო.

ლექციები წაიკითხეს ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტებმა ა. გობრონიძემ, ვ. სიჭინავამ, ო. თურმანიძემ, ა. კახიძემ.

გ. არსენაძე

✦ **ახალქალაქი.** რაიონული გაზეთის „შეტევრას“ რედაქციის მუშაკებმა სოფელ კოთელის მშრომელებისათვის მოაწყვეს მკითხველთა კონფერენცია.

გაზეთის მუშაობის შესახებ ილაპარაკეს და საქმიანი წინადადებები წამოაყენეს მკითხველებმა: გ. მეტრეველმა, პ. ზურაბაშვილმა, შ. აჩელაშვილმა.

ე. ფანჯაკიძე

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

წლეულს 8 აპრილს 12 საათზე ინსტიტუტის საქმო დარბაზში (ი. ჭავჭავაძის ქ. № 57) აწყობს „ღია კარის“ დღეს დასწრებულ, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის.

მოეწყობა რექტორატის, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეხვედრა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებთან.

შეხვედრის შემდეგ დეკანები, კათედრის გამგეები და პროფესორ-მასწავლებლები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებს დაათვალიერებინებენ ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიებს, რჩევა-დარიგებას მისცემენ პროფესიის არჩევის თაობაზე.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

30 მარტი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ნორჩების შემოქმედება“ ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინონარკვევი, 11.20 — მოსწავლეთათვის — „საცირკო სანახაობა“, 17.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.50 — კინოჟურნალი „პიონერია“ № 1, 18.00 — მოსწავლეთათვის — „წიგნი — ჩემი მეგობარი“, 18.30 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 19.00—„იავნანა“ — სატელევიზიო ჟურნალი — ქალებისათვის, 20.00 — ევროპა „გარდატეხათა ჟამი“ სტუდიაში პოლიტიკური მიმომხილველი ა. პოტაპოვი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „ბუნების კარი“ — ფერადი გამოსახულებით, 21.40 — ახალგაზრდობისათვის — „ცხრაჯერ ცხრა“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — გადაცემა— „კომპოზიტორი იაკობ ბობოხიძე“. დასასრულ ახალი ამბები.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

30 მარტი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დღისით); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — დაბრუნება (ჩოხატაურის სახალხო თეატრის წარმოდგენა); კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ივთიმ გურჯი (დღისით), რას იტყვის ხალხი (საღამოს); ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის ზაბარში მიდის დედისერთა (დღისით), უარამანს ქალი მოუყვანს (საღამოს).

თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის პროსპ., 2)

2 აპრილს

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის პირველობა (უმაღლესი ლიგა)

„დინამო“ (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი)

სეზონის საზეიმო გახსნა და სპორტსაჩვენებელი გამოსვლები

საღამოს 5 საათზე.

თამაშის დასაწყისი 18 საათზე.

ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 31 მარტს და 1 აპრილს დილის 10 საათიდან.

ძალაშია აბონემენტების სერია „აბ“. ბილეთების საერთო გაყიდვა — 2 აპრილს დილის 9 საათიდან.

ᲥᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ**

880096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 02092

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ნ. გაფრინდაშვილი ამარცხებს ლ. შამკოვიჩს

გუშინ „კომუნისტის“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლონ-პაინს (კალიფორნიის შტატი), სადაც მიმდინარეობს ვაუთა საერთაშორისო ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობით (სულ შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობს, 48 მოჭადრაკე გამოდის).

აი რა გადმოგვცა ტელეფონით ნ. გაფრინდაშვილმა:

— ეს წუთია ტურნირიდან ჩვენს სასტუმრო „ვილოვმოტელში“ დაბრუნდი. დღეს მოვუგე დიდოსტატ შამკოვიჩს. ახლა 4,5 ქულა მაქვს 7 შესაძლებლიდან. უკვე 5 დიდოსტატს შევხვდი და, ვფიქრობ, ჯერჯერობით ცუდი შედეგი არა მაქვს. ასპარეზობას 5,5 ქულით ლიდერობს არგენტინელი დიდოსტატი პანო. მან ბოლო ტურში დაამარცხა საბჭოთა მოჭადრაკე დიდოსტატი იურა ბალაშოვი, რომელსაც 5 ქულა აქვს და მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს.

პრეტენდენტთა მატჩეგზე

რეიკიავიკის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში მსოფლიოს პირველობაზე ჭადრაკში იძულებითი და ხანგრძლივი შესვენებაა: სპასკის გაუკეთეს ბრძანაწყლავის ოპერაცია. ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ შესვენება შეიძლება გაგრძელდეს სამი კვირიდან ერთ თვემდე. შეგახსენებთ, რომ მეთორმეტე პარტიის შემდეგ ანგარიში სპასკი-ა და ჰორტს ამ შეჯიბრებაში თანაბარი აქვთ — 6:6. მეტოქეებს ამ დღეებში უნდა ჩაეტარებინათ ორი დამატებითი შეხვედრა.

ამ მატჩის გამარჯვებული ნახევარფინალში შეხვდება პორტიშს.

მესამე და უკანასკნელი ტაიმაუტი აიღო მეკინგმა, რომელიც მეორე მეოთხედფინალურ მატჩს ლიუკერნში თამაშობს პოლუგაევსკისთან. ამ მეტოქეების მეთორმეტე პარტია ოთხშაბათს გაიმართება. ჯერჯერობით ლიდერობს პოლუგაევსკი — 5,5:4,5.

პეტროსიანის ავადმყოფობის გამო ოთხშაბათისათვის გადაიდო აგრეთვე მეთერთმეტე შეხვედრა ჩოკოში, სადაც თამაშობენ კორჩნოი-პეტროსიანი და სადაც ანგარიში ჯერჯერობით ასევე 5,5:4,5. (საკდესი).

ᲨᲔᲯᲐᲒᲣᲠᲗᲘ

საქართველოს პირველობა

ბაიმართა რესპუბლიკის ჩემპიონატის (პირველი ჯგუფი) მორიგი, მეოთხე ტური.

საინტერესო გამოდგა მატჩი ცხაკაიაში, სადაც ადგილობრივი „ეგრისი“ მასპინძლობდა წალენჯიხის „სჭურს“. სტუმრებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება და 7 ქულით სათავეში ჩაუდგნენ გათამაშებას.

მეტად დაძაბული იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ყვარლის „დურუჯის“ მატჩი, რომელშიც 6 ბურთი იქნა გატანილი. 3:3 — ასეთია მატჩის შედეგი.

ფოთის „კოლხეთის“ თავდამსხმელმა სანაია ოჩამჩირის „ამირანის“ კარში 3 ბურთი გაიტანა. ეს შეხვედრა ანგარიშით 4:2 მოიგეს ფოთელებმა.

ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ზაქარაიამ გაიტანა, გადაწყვიტა თამაშის ბედი სტუმრების — გალის „მზიურის“ სასარგებლოდ თბილისის სკა-სთან.

ასევე თითო ბურთმა მოუტანა გამარჯვება მასპინძლებს — ხაშურის „ოვერიას“ საჩხერეს „იბერიასთან“ და თელავის „ნადიკვარს“ გორის რაინის „ქართლთან“. ერთნაირი ანგარიშით 2:1 წულუკიძის „იმერეთმა“ მოუგო ხობის „კოლხეთს“, ხოლო რუსთავის „მეტალურგმა“ — ჭიათურის „მაღაროელს“. გეგეჭკორის „სალხინომ“ ცხინვალის „სპარტაკს“ ორი „მშრალი“ ბურთი გაუტანა. მახარაძის „მერცხალისა“ და ზესტაფონის „მეტალურგის“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

აღსანიშნავია, რომ განვლილი ტური კორექტულად ჩატარდა.

ვ. შავდია,

საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

კალათგურთის ფარეგთან

მოსკოვში უმაღლესი ლიგის ვაუთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში გაიმარჯვა მორიგი მატჩები. თბილისის „დინამომ“ ანგარიშით 66:81 (35:37). „ფაიერ კიევის „სტროიტელთან“. ქორქიამ და სალნიკოვმა 27-27. ეს ლა შესძინეს თავიანთ გუნდებს.

მეტად დაძაბული გამოდგა კაუნასის „ჟალგირისისა“ და ლენინგრადის „სპარტაკის“ მატჩი. ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 87:87. დამატებითი ხუთ წუთში იმარჯვეს ლენინგრადელებმა — 98:93.

აი ფინალისტთა მდგომარეობა (2 მატჩის შემდეგ): ცსკა — 26 ქულა, „სტროიტელი“ — 21, მოსკოვის „დინამო“ — 18, თბილისის „დინამო“ და ლენინგრადის „სპარტაკი“ — 17-17, „ჟალგირისი“ — 14.

გუშინ ტურნირზე დასვენების დღეა.

რიგაში მეორე საკავშირო ახალგაზრდული თამაშების ფინალური ტურნირში დაიწყო ფინალური ბრძოლები. საქართველოს კალათბურთელებმა გაიმარჯვეს რუსეთის ფედერაციის ძლიერ გუნდთან — 98:87 (42:38).

მოტოგზურთი

პირველნი არიან თბილისელები

თბილისში, დოსაააფ-ის რეპუბლიკური კომიტეტის სპორტულ ბაზაზე გაიმართა საქართველოს პირველობა მოტობურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის სპორტ-ტექნიკური კლუბის გუნდი „მზიური“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თელავისა და ახმეტის გუნდები.

თბილისელებმა ანგარიშით 6:0 დაამარცხეს თელაველები, ხოლო ახმეტის გუნდს 10 „მშრალი“ ბურთი გაუტანეს. დამაჯერებლად გაიმარჯვეს სტუდენტებმაც: თელაველებთან — 2:0, ახმეტელებთან — 8:0.

გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „მზიური“ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები. დამაბული ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0. შეჯიბრების დებულების თანახმად საქართველოს ჩემპიონის წოდება მიეკუთვნა „მზიურს“, რომელსაც ბოლოების უკეთესი სხვაობა აქვს.

რ. გაბრიელიძე.

ᲝᲠᲘᲝᲠᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ

ᲪᲨᲛᲐ. ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა ლენინგრადში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე ლენინგრადელი ვლადიმერ სალნიკოვმა. 1500 მეტრი თავისუფალი სტილით მან 15 წუთში და 27,04 წამში გასცურა. ახალი საკავშირო რეკორდია აგრეთვე მოსკოველ ოლეკ კლევაკინის შედეგი კომპლექსურ ცურვაში 200 მეტრზე — 2.22,38. ბრასის სტილით 100 მეტრზე ქალებში გაიმარჯვა 12 წლის ლენინგრადელმა მოსწავლემ იულია ბოგდანოვამ, ვაჟებში — ჰერალდ მერკენმა (გფრ). 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში უძლიერესი იყო დონეცკელი ალექსანდრე სიდორენკო.

თბილისელები. ტარტუს უნივერსიტეტის სტუდენტმა, 20 წლის თეოდორე კოლჩინმა (ოგენობილი ბოთხოლამურეების ალეკტინა და პავლე კოლჩინის ვაჟი) ტომსკში სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ორჭიდში (ტრამპლინიდან ხტომა და რბოლა 15 კილომეტრზე). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს დინამოელებმა.

ფარიკაობა. 22 წლის მოსკოველმა რაბირისტმა ვალენტინა სიდოროვამ ტალინში კვლავ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. მეორე ადგილზეა ვალენტინა ნიკონოვა, მესამეზე — ნაილია გილიაზოვა (ორივე — ყაზანი).

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.